მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკპ. ც. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 285 (5366) | ხუთშაბათი, 15 დეკემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

მედიცინის მუშაკთა პოლიტიკურად მომზადება (მოწინავე).

უკრაინაში გეტმანშჩინის ლიკვიდაციის 20 წლისთავი (1-ლი გვ.).

პარტიული ცხოვრება (მე-2 გვ.).

ბ. ლეიბზონი პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ (ფელეტონი მე-2 გვ.).

გერმანელ ქოფაკ-რაინდების შემუსვრა 1242 წელს (ფელეტონი მე-3 გვ.).

გელორუსიიდან გერმანელი ოკუპანტების განდევნის XX წლისთავი (მე-3 გვ.).

ვებმეგბით სოცშეჯიბრებაში უკრაინაში გასაბჭოების ლიკვიდაციაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის (მე-3 გვ.).

უცხოეთში:

მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ (1-ლი გვ.).

ჰიტლერელების ტერორი კლაიპედში (1-ლი გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედიცინის მუშაკთა პოლიტიკურად მომზადება

ზრუნვა ადამიანზე, მისი მატერიალურ - საყოფაცხოვრებო პირობებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ჩვენში სამართლიანად ითვლება უპირველესი მნიშვნელობის საპატიო ამოცანად. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში ადამიანი ნამდვილად გადაიქცა ყველაზე ძვირფას კაპიტალად.

საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი ჭარტიით, დიადი სტალინური კონსტიტუციით, საბჭოთა ქვეყნის მშრომელთათვის დაკანონებულია უფასო საექიმო დახმარების უფლება, მოხუცებულობისა და შრომის უნარის დაკარგვის დროს მატერიალური უზრუნველყოფის უფლება.

დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა მასების ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნავენ ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა, შშრომელთა უდიდესი მოამაგე დიდი სტალინის ფაქტი, რომ გაუქალი ტაიგის ჭაობებსა და ტბებს შორის მყოფი საბჭოთა გმირი მფრინავი ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობა განსაკუთრებით აინტერესებდა დიდ სტალინს, საბჭოთა მთავრობას, მთელ ჩვენ ხალხს, ერთხელ კიდევ დასტურებს, რომ ჩვენში ადამიანი ყველაფერზე მაღლაა დაყენებული.

ამიტომ არის, რომ მასების კეთილდღეობის განუწყვეტელ ზრდასთან ერთად სწრაფად იზრდება სამკურნალო დაწესებულებათა რიცხვი, მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსულ ექიმთა და მედიცინის დარგის მუშაკთა რიცხვი. ჩვენი უმაღლესი და საუალო სამედიცინო სასწავლებლები სახალხო ჯანმრთელობის დაცვის გაშლილ ქსელს ყოველწლობით აწვდიან ახალგაზრდა კადრებს.

ორდენოსანი საქართველოს შშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დგას ექიმთა, ექიმის თანაშემწეთა და მედიცინის დარგის მუშაკთა მრავალრიცხოვანი არმია.

ჩვენში თითქმის არ მოიპოვება ისეთი სოფელიც კი, სადაც საექიმო დაწესებულება არ იყოს. ახლა საკოლმეურნეო სოფლის ინტელიგენციაში საბჭოთა ექიმმა თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. იგი სისხლხორცეულად დაუკავშირდა შშრომელ ხალხს, პირნათლად ემსახურება მას, სარგებლობს ხალხის მხარდაჭერით, მისი ნდობით ექიმის სახელწოდება ჩვენს ქვეყანაში საპატიოა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო გამუდმებით ზრუნავენ საბჭოთა ექიმის, საბჭოთა ინტელიგენციის ამ ღირსეული წარმომადგენლის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ისტორიულ დადგენილებაში „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ აღნიშნა, რომ „ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვ. ლენინური კადრები, პრაქტიკული მუშაობით გართულნი, ძლიერ ჩამორჩნენ თეორიის დარგში“. როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, დღემდის ბევრგან მიტოვებული იყო პოლიტიკური მუშაობა ინტელიგენციაში, მოსამსახურეებსა, მასწავლებლებსა და ექიმებს შორის.

დადგენილების ეს ნაწილი ყველაზე მეტად საბჭოთა ექიმებს ეხება. მათი პოლიტიკური მომზადება თავიდანვე ცუდად არის დაყენებული. მაგალითად, ძალიან ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა ე. წ. სოციალეკონომიურ დისციპლინათა კათედრებს, თბილისის სტომატოლოგიურ და სამედიცინო ინსტიტუტებში. ამ ინსტიტუტების სტუდენტთა შორის მუშაობის გასაშლელად კათედრებს ნორმალური პირობები არა აქვთ, არც სათანადო მოწყობილობით არიან უზრუნველყოფილი. სტომატოლოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში ძალიან ცოტა რაოდენობით მოიპოვება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულებანი, ხშირად არ ეწყობა თეორიული ხასიათის საჯარო მოხსენებები, ამ საქმეში არ არის გამოყენებული მოწინავე სტუდენტთა აქტივი და სხვ.

საავადმყოფოებსა, დისპანსერებსა და პოლიკლინიკებში ექიმთა მომზადების დონისათვის ანგარიშგაუწევლად ბევრგან შემოღებული იყო პოლიტგანათლების წრეებში იძულებითი ჩარიცხვის ბიუროკრატიულ-ადმინისტრატიული მეთოდი. ეს გარემოება აფერხებდა ექიმთა პოლიტიკურ მომზადებას. რაიონების პარტიული ორგანიზაციებიც ძალიან ცოტას აკეთებდნენ იმისათვის, რომ ექიმები დაუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. სამედიცინო დარგის მუშაკებმაც იციან, რომ თუ კი შესაძლებელია ექიმები დაეუფლონ ისეთ მეცნიერებებს, როგორიცაა მაგალითად ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია და სხვ., ესევე წარმატებით შესაძლებელია დაეუფლონ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“, მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას, საჭიროა „მხოლოდ სურვილი, დაჟინება და ხასიათის სიმტკიცე ამ მიზნის მიღწევაში“.

ექიმთა მასებსა და მედიცინის დარგის მუშაკებს ძალიან ცოტას ეხმარებიან მედსანშრომის კავშირი და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი. სოფლის საექიმო უბნები უზრუნველყოფილი არ არის ბიბლიოთეკებით და მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურით. მედსანშრომის კავშირმა მხოლოდ რამდენჯერმე მოაწყო თბილისის ექიმებისათვის საჯარო მოხსენებები, მაგრამ ბევრი მათგანი დაბალი ხარისხისა იყო და არ დააინტერესა აუდიტორია. ამის გამო იყო, რომ მედსანშრომის კავშირის კლუბში გამართულ ერთერთ მოხსენებას 69 კაცი დაესწრო, მათგან ექიმი მხოლოდ 37.

მთლად მივიწყებულია ექიმთა შორის საგაგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობა რაიონებში. რა კეთდება ამ მხრივ რაიონებში, ეს მედსანშრომის კავშირის ც. კ-ის მუშაკებმა არ იციან და ალბათ ნაკლებად აინტერესებთ.

ისინი ამით დაკმაყოფილდნენ, რომ შეადგინეს თვითგანვითარებისა და პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის თემები, ხოლო თუ ვინ დაამუშავებდა ამ თემებს, ვინ გააკეთებდა ამ საკითხებზე მოხსენებებს, ამაზე თავი არ შეიწუხეს.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „საბჭოთა ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის ამოცანა ბოლშევიკების პარტიის ერთერთი ყველაზე უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი წარმოადგენს ბოლშევიზმის ახალ მძლავრ იდეურ იარაღს, მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა ენციკლოპედიას, რომლის საფუძვლიანად შეთვისებას მოითხოვს საბჭოთა ინტელიგენციისა და მისი ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილის — მედიცინის მუშაკთა — სისხლხორცეული ინტერესები.

მარსელის მუშათა მიტინგი საფრანგეთის მთავრობის საგანგებო დეკრეტების წინააღმდეგ.

საკადესის ფოტოქრონიკა

მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი (საკადესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერდება მოძრაობა ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ. სენატორი დემოკრატი კინგი გამოვიდა სიტყვით, რომელიც მიმართული იყო გერმანიის, იტალიისა და იაპონიის წინააღმდეგ. კინგმა მოითხოვა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შესწყვიტონ დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა გერმანიასთან. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ სეირმა ახალ ორლეანში (ლუიზიანის შტატი) წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, საეჭვოა რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დასდონ სავაჭრო შეთანხმება გერმანიასთანო. სეირას გამოსვლა ახალ ორლეანში, რომელიც არის ბამბის უმნიშვნელოვანესი ცენტრი, მეტად დამახასიათებელია. სეირას სიტყვა, როგორც სჩანს, ნიშნავს უარის თქმას გერმანიის წინადადებაზე გაადიდოს ბამბის შესყიდვა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ნიუ-იორკის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ მორისმა წინადადება შეიტანა აეკრძალოს გერმანიის გემებს ნიუ-იორკში დოკებით სარგებლობა გერმანიაში ებრაელთა დევნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

მთავრობის „საზღვაო საქმეთა კომისიამ“ მოსთხოვა იაპონიის ორ უდიდეს სანაოსნო კომპანიას „ოსაკა სიოსენის“ და „იამასიტა კისენის“ განკოფილებებს ნიუ-იორკში, სანფრანცისკოსა და სიეტლში წარმოადგინონ ყველა საბუხჰალტრო წიგნები განსახილველად. კომისია ამას იმით ასაბუთებს, რომ იაპონიის სანაოსნო კომპანიებს ბრალი ედებათ იმაში, რომ ისინი ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ვაჭრობა სამხრეთ-ამერიკის ქვეყნებთან და ძირი გამოუთხარონ ამერიკის სანაოსნო კომპანიებს.

ჰიტლერელების ტერორი კლაიპედში

კაუნასი, 13 დეკემბერი (საკადესი). 11 დეკემბერს მოხდა კლაიპედის სეიმის არჩევნები (სეიმი შესდგება 26 დეპუტატისაგან, რომელთაც ირჩევს მოსახლეობა). აქამდე არჩევნების შედეგები გამოქვეყნებული არ არის, რადგან ბმების დათვლა ჯერაც „არ დამთავრებულა“.

კლაიპედელი ჰიტლერელები, რომლებიც ბერლინიდან მიღებული დავალებებით მოქმედებენ, დიდ იმედებს ამყარებდნენ სეიმის არჩევნებზე, მათ მიზნად დაისახეს ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება კლაიპედის ოლქში. ამისათვის კლაიპედელი ჰიტლერელები ფართოდ იყენებდნენ გერმანიის ფაშიზმის აგენტთა უკვე ნაცად მეთოდებს: ტერორს, შანტაჟს, დაშინებას და სხვ. ფაშისტი „აგიტატორები“ ემუქრებოდნენ გლეხებს, რომ არ იყიდიან მათგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, მოუსპობენ კრედიტს, საჯარო ვაჭრობით გაუყიდიან ვალში მეურნეობას. როდესაც ასეთმა ზეგავლენამ ვერ გასჭრა, ფაშისტები პირდაპირ სცემდნენ ლიტველებს. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ერთი ლიტველი მას შემდეგ, რაც მას ფაშისტებმა სცემეს, გარდაიცვალა. ამასთან ერთად ფართოდ მიმართავდნენ ამომრჩეველთა ამოშლას საარჩევნო სიებიდან, ესე იგი, უკანონოდ ართმევდნენ მოქალაქეებს საარჩევნო უფლებებს.

ლიტვის ხელისუფალნი კლაიპედის ოლქში მომქმედ გერმანელ ფაშისტ ელემენტთა ზეგავლენით, ამ ელემენტებთან „შერიგების“ მიზნით, ერთგვარ დათმობებზე წავიდნენ.

მაგრამ ეს დათმობანი მხოლოდ აძლიერებენ ჰიტლერელთა აქტივობას. კლაიპედელი ჰიტლერელები როდი კმაყოფილდებიან ძირგამომთხრელი მუშაობის წარმოებით მარტო კლაიპედში. 10 დეკემბერს ლიტვის უნივერსიტეტში ფაშისტ სტუდენტთა ჯგუფი ცდილობდა პროვოკაციულად გამოეწვია უწესრიგობანი უნივერსიტეტის მახლობლად მდებარე ეზოებში. სტუდენტთა განხრახვის სისრულეში მოყვანა თავიდან იქნა აცილებული იმის შემდეგ, რაც საქმეში პოლიცია ჩაერია და რამდენიმე სტუდენტი დააპატიმრა. ლიტვის პრეზიდენტი იძულებული გახდა 10 დეკემბრიდან ლიტვის დედაქალაქში — კაუნასში და კაუნასის მაზრაში შემოეღო „გაძლიერებული დაცვის“ რეჟიმი.

ოფიციალურად განმარტავენ, რომ მთავრობამ ეს ნაბიჯი გადასდგა „იმის გამო, რომ უკანასკნელ დღეებში თავი იჩინა ზოგიერთი უპასუხისმგებლო ელემენტის საქმიანობამ“.

მთავრობის ცნობიდან მთელი სიცხადით გამომდინარეობს, რომ უკანასკნელ დროს თავისი მუშაობა განაახლა ვოლდემარასის ჯგუფმა, რომელიც, როგორც ცნობილია, გერმანიის ფაშიზმის აგენტურას წარმოადგენს ლიტვაში.

„უპასუხისმგებლო ელემენტები“ უფროდაუფრო მეტი აქტივობით მოქმედებენ ლიტვაში. კლაიპედის ოლქში ჰიტლერელებს ბევრი პასუხსაგები პოსტი უჭირავთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში. ამის შედეგად წინასაარჩევნო კამპანიის დროს ლიტვის ორგანიზაციების პლაკატებისა და აფიშების გაკვრაც კი ჭქონდათ აკრძალული, ხოლო ფაშისტურ ორგანიზაციებს კი ეს ნებადართული ჰქონდათ. თვით არჩევნების დღეს — 11 დეკემბერს — კლაიპედში გამეფებული იყო ჰიტლერელთა განსაკუთრებული ტერორი. საარჩევნო უბნებში წესრიგის დაცვა დავალებული ჰქონდა არა პოლიციას, არამედ ადგილობრივ მოიერიშეებს. ეს უკანასკნელნი ნებას არ აძლევდნენ ლიტვის კანდიდატთა სიების წარმომადგენლებს თვალყური ედევნებინათ კენჭისყრის მსვლელობისათვის, თვითონ კი მუქარის გზით აიძულებდნენ ამომრჩევლებს ხმა მიეცათ ჰიტლერელთა სიებისათვის. კენჭისყრის რაიმე საიდუმლოებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. კენჭისყრის შემდეგ ლიტველთა სიების წარმომადგენლებს აგრეთვე არ მისცეს ნება გაჰყოლოდნენ ბიულეტენებს, როდესაც ეს ბიულეტენები პროვინციიდან კლაიპედში მიჰქონდათ. როგორც გაზეთები იუწყებიან, ბევრმა კომისიამ ბიულეტენები კლაიპედში დაუბეჭდავად გაჰგზავნა. ცხადია, რომ წესების ყველა ამ დარღვევის მეოხებით, ჰიტლერელებს ფართო შესაძლებლობა აქვთ ჩაიფინონ ბოროტმოქმედებანი და მოახდინონ საერთოდ არჩევნების შედეგების ფალსიფიკაცია.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დეკლარაცია

პრაღა, 13 დეკემბერი (საკადესი). დღეს შესდგა ჩეხოსლოვაკიის დეპუტატთა პალატის სხდომა. მთავრობის დეკლარაციაში, რომელიც პრემიერ-მინისტრმა ბერანმა გაამოქვეყნა, დასახულია მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი.

შეეხო რა ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო მდგომარეობას და მისი საგარეო პოლიტიკის უახლოეს პერსპექტივებს, ბერანმა განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკია „არ განაგრძობს იმ ხაზს, რომელსაც მიმდინარე წლის სექტემბერში ატარებდა“. „მთავრობის პირველი ამოცანა, — აღნიშნა ბერანმა, — იქნება ურთიერთობის მოგვარება ყველაზე დიდ მეზობლებთან, — გერმანიასთან. ამ მხრით ჯერ კიდევ ყველა საკითხი როდია გადაჭრილი. ვფიქრობ, რომ ორივე ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეთა პირდაპირი კონტაქტი გამოიწვევს ჩვენი ურთიერთობის ყველა საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაჭრას“.

შემდეგ ბერანი შეჩერდა პოლონეთთან და უნგრეთთან „კეთილმეზობლური“ ურთიერთობის დამყარების საკითხზე და გამოსთქვა რწმენა, რომ „ამჟამად წარმოებული მოლაპარაკება დადებითს შედეგებს მოგვცემს“. აღნიშნა რა „რუმინეთთან და იუგოსლავიასთან მეგობრული კავშირის შემდგომი განმტკიცების აუცილებლობა“, ბერანმა იტალიის მისამართით განაცხადა: „ჩვენ მოხარული ვართ, რომ საშუალება გვაქვს კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა იტალიასთან. რომს ჩინებულად ესმის ჩვენი მდგომარეობა. მის ხმას ჩვენ ყოველთვის ყურადღებით მოვისმენთ“. ჩამოსთვალა რა ამგვარად ჩეხოსლოვაკიის ახალ „მეგობართა“ სერია, ბერანმა განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკია ცდილობს დაამყაროს კარგი ურთიერთობა ყველა დიდ სახელმწიფოსთან, პირველ რიგში საფრანგეთთან, ინგლისთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

საშინაო პოლიტიკის ხაზით დეკლარაციაში წამოყენებულია შემდეგი ამოცანები: ომიის დემობილიზაციის დამთავრება, გერმანიის, პოლონეთისა და უნგრეთის მიერ ოკუპირებული რაიონებიდან ლტოლვილთა უზრუნველყოფა სამუშაოთი, სამეურნეო მშენებლობა, „სოციალური უზრუნველყოფისა და უმუშევრობისაგან დაზღვევის საქმის რეფორმა“ (იძულებითი შრომის შემოღება ბანაკებში და სხვ.). დეკლარაციაში წამოყენებულია აგრეთვე პრესის, რადიოს, თეატრის და სხვათა „რეორგანიზაციის“, ე. ი. უნიფიკაციის ამოცანა.

შემდეგ საშინაო პოლიტიკის დარგში მთავრობის დეკლარაცია აშკარად გვანიშნებს კომუნისტური პარტიის დაშლის მომზადებას. ამასთან დეკლარაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთავრობა „გადაჭრით და სწრაფად“ იმოქმედებს, უწინარეს ყოვლისა მთელი შინაური რეჟიმის უნიფიკაციის — ყველა ორგანიზაციის: პროფკავშირული, კოოპერატიული, კულტურული და სხვა ორგანიზაციების იძულებითი გაერთიანების ხაზით. ყველა ამ ამოცანის დასაჩქარებლად მთავრობა პარლამენტისაგან მოითხოვს, რათა მას მიენიჭოს საგანგებო რწმუნებანი.

მთავრობის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ პალატის სხდომაზე წაკითხულ იქნა კანონ-პროექტი საგანგებო რწმუნებათა შესახებ, რომელიც ხელმოწერილია პრემიერ-მინისტრ ბერანისა და შინაგან საქმეთა მინისტრ ფიშერის მიერ.

პროექტის მიხედვით მთავრობას საგანგებო რწმუნებანი ორი წლით ენიჭება. პრეზიდენტს უფლება ეძლევა შესცვალოს კონსტიტუციის ყოველი პუნქტი, თუ ამაზე იქნება მთავრობის ერთსულოვანი წინადადება (ამ შემთხვევაში უნდა იყოს აგრეთვე სლოვაკიის მთავრობის მინისტრთა უმრავლესობის თანხმობა). ეს არ ეხება მხოლოდ სლოვაკიის ავტონომიის კანონს. ამ უკანასკნელის შეცვლა მხოლოდ სლოვაკიის პარლამენტის თანხმობით შეიძლება. მთავრობას პრეზიდენტის თანხმობით უფლება ენიჭება მიიღოს საგანგებო დეკრეტები და განკარგულებანი ყველა საკითხზე პარლამენტის მიერ ამ საკითხების დაუმტკიცებლად. სლოვაკიის ტერიტორიაზე ანალოგიურ ღონისძიებათა მისაღებად საჭიროა სლოვაკიის მთავრობის უმრავლესობის წინასწარი თანხმობა.

კანონპროექტის ტექსტი, რომლის ყველა პარაგრაფში სლოვაკიის მთავრობის ზეგავლენა მოსჩანს, პარლამენტის დეპუტატებისათვის მხოლოდ სლოვაკურ ენაზე დაიბეჭდა.

უკრაინაში გეტმანშჩინის ლიკვიდაციის 20 წლისთავი

კიევი, 14 დეკემბერი (საკადესი). დღეს საბჭოთა უკრაინის შშრომელნი აღნიშნავენ გეტმანშჩინის ლიკვიდაციის 20 წლისთავს. რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და სასწავლებლებში გუშინ მრავალრიცხოვანი მიტინგები და კრებები შესდგა.

ჟიტომირის ოლქის ნოვოგრადვოლინსკის რაიონის სოფელ ჩეგნიცის 1 აგვისტოს სახელობის კოლმეურნეობის კლუბში, რომელიც ხალხით იყო გაჭედილი, მოგონებებით გამოვიდა 70 წლის კოლმეურნე ფ. ზავალჩუკი.

— 1918 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში,—სთქვა მან, — ჩვენს სოფელში შემოიჭრა გერმანიის იმპერიალიზმის აგენტის გეტმან სკოროპადსკის ბანდა. გეტმანელებმა მოითხოვეს ცხენები, ძროხები და ღორები. ვადა მოგვცეს 5 საათი. ჩვენ მოვითათბირეთ საერთო კრებაზე და გადავწყვიტეთ მხოლოდ ნაწილობრივ შეგვესრულებინა ეს ბრძანება. მაშინ გეტმანის ბანდიტებმა ოთხი მხრით წაუკიდეს ცეცხლი ჩვენს სოფელს. დაიწვა 60 ქოხი. ცეცხლმა შთანთქა გლეხთა დოვლათი, ცეცხლში დაიღუპნენ ქალები და ბავშვები, რომელთა გადარჩენაც შეუძლებელი იყო. ჩვენი სოფლის 10 მცხოვრები ბანდიტებმა ტყვიამფრქვევებით დახვრიტეს.

ასეთივე ბედი ეწია სოფელ რომანოვკის, გულსკისა და სხვების მშრომელებსაც. სოფელ გულსკში გეტმანელებმა 30 გლეხი მოჰკლეს, გეტმანის ბანდიტთა თარეშის ატანა შეუძლებელი გახდა. რევოლუციურ პარტიზანულ რაზმებთან ერთად ჩვენ თავს დავესხით გეტმანის გამხეცებულ ბრბოს და გავანადგურეთ ეს სისხლისმსმელი ბანდა.

— ახლა ჩვენი სოფელი ძნელი გამოსაცნობია. ამჟამად ჩვენ შეძლებულად და კულტურულად ვცხოვრობთ.

დიდი სტალინის მიერ-ფრთებშესხმულნი, საბჭოთა კავშირის ყველა შშრომელთან ერთად, ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას ვაშენებთ. ვაი იმას, ვინც ხელჰყოფს ჩვენს ბედნიერებას.

ლენინის სახელობის მაღარომ შეასრულა წლიური დავალება

(ტელიბული, ტელეფონით „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

13 დეკემბერს, ღამით, ტყიბულის ლენინის სახელობის მაღარომ 18 დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა. მაღარომ ნაცვლად 150.000 ტონისა ამოიღო 150.100 ტონა ქვანახშირი.

14 დეკემბერს, დილით ტყიბულის მუშათა კლუბში შესდგა წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი, რომელსაც 450 კაცი დაესწრო.

მიტინგზე პირველი სიტყვა აიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ლენინის სახელობის მაღაროს ორდენოსანმა დირექტორმა ამხ. **გ. გორგიძემ.**

— ეს პირველი შემთხვევაა, რომ ჩვენმა მაღარომ გეგმა შეასრულა. ამ წარმატებას მივაღწიეთ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე მუშაობის გარდაქმნით, დონბასელებთან სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლით. ჩვენ პირობას ვიძლევით, რომ წლის ბოლომდე ქვეყანას დამატებით მივცეთ 10.000 ტონა ქვანახშირი,—განაცხადა ამხ. გორგიძემ.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველები ამხ. ა. დარსაძე, ბ. კვაჭაძე, შ. გვენეტაძე და სხვ. ისინი ახალ-ახალ ვალდებულებებს იღებდნენ.

ლენინის სახელობის მაღაროელებს ამ ბრწყინვალე გამარჯვების გამო მიესალმნენ საკ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. **ფ. ქასრაშვილი,** ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. დ. ჩიკვაიძე და სხვ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი საქ. მუსიკალური თეატრის მსახიობთა მონაწილეობით.

მიტინგმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. კ. ჩარკვიანს და საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. ბაქრაძეს.

ყვავარჩელელები იბრძვიან შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის

(სოხუმი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ტყვარჩელის მაღაროელებმა საქმით გაშალეს ბრძოლა დონბასელთა გამოწვევის საპასუხოდ. სოცშეჯიბრებაში ჩაბმულთა რიგები ყოველდღიურად იზრდება. განსაკუთრებით დიდ წარმატებას აღწევს მნგრეველთა ბრიგადა ამხ. ან. ბესარაბის ხელმძღვანელობით. 7 დეკემბერს ამ ბრიგადამ გამოიღო 148 ტონა ქვანახშირი—გეგმის 158 პროცენტი, 8 დეკემბერს—142 ტონა, 10 დეკემბერს—147 ტონა.

ასევე წინ მიდის მნგრეველთა ბრიგადა ამხ. სოროკინის ხელმძღვანელობით, რომელიც ბესარაბის ბრიგადას ეჯიბრება. ეს ბრიგადა დღიურად იღებს 145 ტონა ქვანახშირს.

აღმავლობა ეტყობა მოსამზადებელ სამუშაოთა ფრონტსაც. მოსამზადებელ სამუშაოებზე ამხ. კუზნინის ბრიგადამ 7 დეკემბერს გეგმა შეასრულა 320 პროცენტით, 8 დეკემბერს—458 პროცენტით, 9 დეკემბერს—350 პროცენტით, ხოლო 10 დეკემბერს—375 პროცენტით.

ტყვარჩელის მაღაროელები სასახელოდ იბრძვიან, რათა გამარჯვებული გამოვიდნენ დონბასელ ამხანაგებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ეხმაურებიან ორთაჭალელ კოლმეურნეთა მოწოდებას

ლანჩხუთი, 14 დეკემბერი (ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორ.). ლანჩხუთის რაიონის სოფ. ლესის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ განიხილა თბილისის რაიონის სოფ. ორთაჭალის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიმართვა უკრაინის სს რესპუბლიკაში გასაგზავნ კოლმეურნეთა დელეგაციაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

კოლმეურნეთა კრებამ ერთსულოვნად მოიწონა ორთაჭალელ კოლმეურნეთა მიმართვა.

სოფ. ლესის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ჩაებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი.

იტალიის პრესა ესალმება ჩემბერლენის გამოსვლას

რომი, 14 დეკემბერი (საკადესი). მთელი ფაშისტური პრესა დაუფარავი აღტაცებით იუწყება ჩემბერლენის გუშინდელი გამოსვლის შესახებ.

„ჯორნალე დ'იტალია“ სარედაქციო სტატიაში სწერს: „ჩემბერლენის გამოსვლა დასაწყისი უნდა გახდეს საფრანგეთის იმ თვალსაზრისის რევიზიისა, რომელიც დღემდე შეურიგებელი იყო“.

„გაზეტა დელ პოპოლო“, კომენტარიებს უკეთებს რა ჩემბერლენის განცხადებას, სწერს: „იტალიამ და გერმანიამ მტკიცედ გადასწყვიტეს მიიღონ ინგლისისა და საფრანგეთისაგან სრული გათანასწორება მდგომარეობისა და მატერიალური რესურსების მხრივ“.

ტურინის გაზეთი სწერს: „საფრანგეთის ხსნა მდგომარეობს ბერლინისა და რომის წინაშე სრულს კაპიტულაციაში, და სწორედ ამ გზისაკენ უბიძგებს საფრანგეთს ლონდონი“.

გაზეთი „კორიერე დელა სერა“, კომენტარიებს უკეთებს რა ჩემბერლენის გამოსვლას, აცხადებს: „საფრანგეთი უკვე დამარცხდა მიუნხენში. მან დაჰკარგა ყველა თავისი მოკავშირე. ახლა, იმყოფება რა ზიგფრიდის ხაზსა (გერმანიის სიმაგრეები საფრანგეთის საზღვრის გასწვრივ), ალპებსა, პირენეებსა და ორ ზღვას შუა, საფრანგეთი პატარა კუნძულად გადაიქცა“.

ლ. კეცხოველის პარტგანათლების სახლში ყოველდღე სწარმოებს **ინდივიდუალური კონსულტაციები** იმ ამხანაგებისათვის, **რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“** დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაციები სწარმოებს დილის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტების ტელეფონები: 3—18—46 და 3—61—68.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლის დირექცია.

თვითმფრინავი „როდინა“ მზად არის ყოველგვარი რეისისათვის

ამურის კომსომოლსკი, 13 დეკემბერი (საკადესი). 12 დეკემბერს ქერბში თვითმფრინავით გადმოყვანილია ადგილობრივ მცხოვრებთა უკანასკნელი ჯგუფი, რომელიც მონაწილეობას იღებდა თვითმფრინავ „როდინას“ ამოყვანაში. მფრინავ ამხ. გენაევის მიერ შესრულებულია ტაიგის ბანაკში „როდინას“ დაშვების ადგილზე დარჩენილი ხალხის და ტვირთის საეკუთაციო ყველა სამუშაო. ბანაკი სავსებით ლიკვიდირებულია.

თვითმფრინავი „როდინა“ ამჟამად სდგას კომსომოლსკის აეროდრომზე. თვითმფრინავი სრულ წესრიგშია და მზად არის ყოველგვარი დავალების შესასრულებლად.

ყინულმჭრელ „სედოვის“ დრეიფი

ყინულმჭრელ „სედოვის“ გემბანი (საკადესის სპეცკორის რადიოთი), 13 დეკემბერი. სედოვის დრეიფის რაიონში ამოვარდნილმა ძლიერმა ქარებმა გემი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადასწიეს. 11 დეკემბერს დამთავრდა სადღეღამოს მაგნიტური სადგურის მშენებლობა. მუშაობა სწარმოებდა აწლადაგებულ ყინულოვან სახლში, რადგან ყინულის მოძრაობამ ძველი სახლი შორს წაიღო გემიდან.

დრეიფის მონაწილეებმა 24-გრადუსიან ყინვაში დაინახეს ჩრდილოეთის ციალის დიდებული სურათი. ერთდროულად ატმოსფეროში აღნიშნულ იქნა ძლიერი მაგნიტური გრიგალი.

დაიწყო გრეიფფრუტის კრეფა

ფოთი, 14 დეკემბერი (საქდესი). დღეს გრეიპფრუტის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო გრეიპფრუტის კრეფა. მოსავალი საუცხოოა, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე გასულ წელს. ნავარაუდევია 38 ათასი ნაყოფის მოკრეფა. 10 ათასი ნაყოფი დანიშნული სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის, 1939 წლის გაზაფხულამდე თბილისის მაცივარში შეინახება. 20 ათასი ნაყოფი განზრახულია გაგზავნოს მოსკოვს. 8 ათას ნაყოფს გადაამუშავებს ქუთაისის საკონსერვო ქარხანა.

პარტიული ცხოვრება

ემზადებიან კომკავშირული ბილეთების გამოცვლისათვის

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის დადგენილებათა საფუძველზე კომკავშირის ცხაკაიას რაიონის ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლისათვის.

ამჟამად რაიონის პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებში იხილავენ საკ. ალკკ ც. კ-ის დახურულ წერილს და ინსტრუქციას. ამასთან დაკავშირებით ასწორებენ კომკავშირულ მეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

რაიონში 222 კომკავშირელს სთვლიდნენ ეგრეთწოდებულ „მკვდარ სულებად", რადგან მათი ვინაობა გამოურკვეველი იყო. VI პლენუმის დადგენილების შემდეგ, როცა ხელი მოჰკიდეს ამ საქმეს, უკვე გამოინახა 47 ამხანაგი, რომლებიც ჩაბმულ იქნენ აქტიურ კომკავშირულ მუშაობაში.

ზოგიერთი კომკავშირელი არ უვლის კომკავშირულ ბილეთს, რის გამო ბილეთები დაფლეთილი და დაჭუჭყიანებულია. მაგალითად, კომკავშირელი ვერა ჭაავას და ვალოდია ივანოვის კომკავშირულ ბილეთში სახელსა და გვარს ვერც კი ამოიკითხავთ.

რაიონში ბევრია ისეთი კომკავშირელი, რომელიც კომკავშირული დოკუმენტების გაფორმების დროს მოწაფე ან კოლმეურნე იყო, ახლა კი უმაღლესი სასწავლებელი დამთავრა და სხვა სპეციალობა აქვს მიღებული. დოკუმენტებში კი ამის მიხედვით არავითარი ცვლილება არ არის შეტანილი. არის შემთხვევები, როცა კომკავშირელის ნამდვილი სახელი, გვარი და მამის სახელი ან დაბადების წელი და სხვ. სწორად არ არის შეტანილი დოკუმენტში. ასეთი გაუგებრობანი ამთავითვე უნდა იქნას აღნიშნული და გამოსწორებული.

ვ. კალანდარიშვილი

როგორ დავიწყეთ პროპაგანდისტული მუშაობის გაძღაქმნა

გ. მიხანაშვილი

საკ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანი

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" გარკვევით მიგვითითებს პროპაგანდისტული მუშაობის ნაკლოვანებებზე და სახავს პარტიული პროპაგანდის ბოლშევიკურად დაყენების გზებს.

დუშეთის რაიონში პარტიული პროპაგანდის საქმეში ადგილი ჰქონდა უდიდეს ნაკლოვანებებს. წრეების სიუხვესთან ერთად პარტიული ორგანიზაციები, თვით რაიკომის ჩათვლით, ცდილობდნენ 100 პროცენტით გაეერთიანებინათ კომუნისტები პარტგანათლების წრეებში. კომუნისტებს პოლიტწრეზე დასწრებისათვის ფეხით უხდებოდათ სიარული 10-15 კილომეტრის მანძილზე. მაგალითად, სოფ. არღუნის სკოლის მასწავლებელი ომანაშვილი, პარტორგი ჯანგირაშვილი და პარტწევრი კოტე ჯიქური პოლიტწრეში დადიოდნენ ქალაქ დუშეთში — 6 კილომეტრის მანძილზე. ფასანაურის პარტორგანიზაციასთან არსებულ პოლიტწრეში დადიოდნენ ვ. ქავთარაძე და ალ. ქავთარაძე საქერედან, რომელიც ფასანაურს 16 კილომეტრით არის დაშორებული; კადოეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ლ. რუბაშვილი დადიოდა პოლიტწრეში ანანურში — 11 კილომეტრის მანძილზე. პროპაგანდისტები ბუჩუკური და პავლიაშვილი 60 კილომეტრის მანძილიდან ჩამოდიოდნენ დუშეთში სემინარზე დასასწრებლად. პარტიის წევრობის კანდიდატ ბუთლა გორთამაშვილი 10 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე წრეში სწავლობდა, ამხ. ლ. რუბაშვილი კი 7 წლის განმავლობაში პირველი საფეხურის სკოლაში ირიცხებოდა.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლარიბაშვილი სოფ. ჭილურტში ხელმძღვანელობდა პოლიტწრეს, რომელიც 12 კილომეტრით არის დაშორებული დუშეთს. ასეთ პირობებში შეთვისების ხარისხი რა თქმა უნდა, ოდნავაც ვერ იქნებოდა დამაკმაყოფილებელი. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილებამ გადაჭრით მიგვითითა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის აუცილებლობაზე.

ახლა პარტიული ორგანიზაციების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება გააცნონ თვითეულ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკს, მტკიცედ დანერგონ ბოლშევიკური პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შესწავლის მეთოდი.

საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომმა ფართოდ გაშალა მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილების ახსნაგანმარტებისა და განხორციელებისათვის. 30 ნოემბერს ჩატარდა რაიონული პარტაქტივის კრება, რომელზეც განმარტებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ. პირველიდან 5 დეკემბრამდე პარტორგანიზაციების ღია კრებებზე იგი განხილულ იქნა რაიკომის მიერ სპეციალურად გამოყოფილი კვალიფიციური მომხსენებლების დახმარებით. ამავე საკითხზე ჩატარდა ქალაქ დუშეთის ინტელიგენციის და რაიონის ინტელიგენციის კრებები. შერჩეულია და პარტრაიკომის ბიუროს მიერ დამტკიცებულია ლექტორთა ჯგუფი 4 კაცის შემადგენლობით. 15 დეკემბრიდან დაიწყება ლექციების პერიოდულად კითხვა და ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები ინტელიგენციისა და პარტიული და საკოლმეურნეო აქტივისათვის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პარტიული პროპაგანდის სათანადოდ დაყენებას ჩვენს რაიონში მთელი რიგი დაბრკოლებები ეღობება. უპირველეს ყოვლისა ეს არის კვალიფიციური პროპაგანდისტების სიმცირე. ჩვენ გვყავს კომუნისტების საკმაოდ დიდი ნაწილი დაბალი განათლებით, მათი უმრავლესობა ისევ წრეების საშუალებით ირჩევს პარტიის ისტორიის შესწავლას. წრეებში მუშაობის სურვილი განაცხადა, მაგალითად, ოქიბში 15 კაცმა, ფასანაურში 5, ძჯადიჯვარში 7, დუშეთში 15 კაცმა და სხვ. აღნიშნული სოფლები ერთიმეორეს დაცილებულია 10-40 კილომეტრით. ამიტომ მსურველთა გაერთიანება ერთ ან ორ წრეში შეუძლებელი იქნება, ხოლო იმდენი პროპაგანდისტი, რამდენიც საჭიროა, ჩვენ ჯერ კიდევ არ გვყავს. ამხანაგები, რომელთა გამოყენება შეიძლებოდა პროპაგანდისტებად, რაიკომმა დაამტკიცა ლექტორებად ინდივიდუალურად მომუშავე ამხანაგების დასახმარებლად. ამიტომ ჩვენს რაიონს პროპაგანდისტული კადრებით უზრუნველყოფის დარგში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ამავე დროს საჭირო იქნება კვალიფიციურ ლექტორთა მომაგრება თბილისიდან ცალკეულ თეორიულ საკითხებზე კონსულტაციისა და ლექციების ჩასატარებლად.

პრესას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საქმეში (ბეჭდვითი პროპაგანდა). ჩვენი რაიონი კი მინიმალურადაც არ არის დაკმაყოფილებული ჟურნალ-გაზეთებით. მაგალითად, ისეთ გაზეთებს, როგორიც არის „კომუნისტი", „ზარია ვოსტოკა", „ახალგაზრდა კომუნისტი" და სხვ., მცირე რაოდენობით ვღებულობთ. გარდა ამისა, გამოწერილი გაზეთები ზოგჯერ 8-10 დღის დაგვიანებით მოგვდის, რაც კავშირგაბმულობის ორგანოების მოუქნელი მუშაობის შედეგია.

ის, რაც დღემდე გაკეთებულია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილების რეალიზაციისათვის, მხოლოდ დასაწყისია იმ უდიდესი მუშაობისა, რომელიც უნდა ჩაატარონ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიული დადგენილების განსახორციელებლად. პარტორგანიზაციები ახლა შეიარაღებული არიან პარტიული პროპაგანდის ისეთი მძლავრი იარაღით, როგორიც არის „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", მათ ხელთ აქვთ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილება პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ, რომელიც წარმოადგენს მარქსისტულ - ლენინური თეორიის დაუფლების ბოლშევიკურ პროგრამას. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა განუხრელად, ბოლშევიკურად განახორციელონ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება და თვითეულ ბოლშევიკს, პარტიულს თუ უპარტიოს, გაუღვიძონ ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის ღრმად შესწავლის მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების სურვილი და ინტერესი.

დავამყაროთ ბოლშევიკური წესრიგი კომკავშირულ მეურნეობაში

(ფოთი, საკ. კორესპონდენტისაგან)

საქ. ალკკ ფოთის ქალაქის ორგანიზაციაში კომკავშირელთა აღრიცხვის საქმე მოუწესრიგებელია. მრავალი აქტიური კომკავშირელის პირადი საქმე არქივში ინახება— „მკვდარ სულთა" სიაში.

1938 წლის პირველი იანვრისათვის 505 კომკავშირელის პირადი საქმე არქივში ინახებოდა, სინამდვილეში კი ამ კომკავშირელთა უმრავლესობა აქტიურად მუშაობს სხვადასხვა ადგილას, ალკკ ორგანიზაციებში. მაგალითად, ნინო ჩიჩუას პირადი საქმე არქივში იყო, მაშინ როცა ის მუშაობს ნაბადის უბნის ტერიტორიულ კომკავშირულ ორგანიზაციაში კომკავშირული კომიტეტის მდივნის მოადგილედ. ვ. სტეფანია „მკვდარ სულად" იყო მიჩნეული, სინამდვილეში იგი უყლევის საკოლმეურნეო პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციაში ირიცხება. სახელმწიფო თეატრის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის წევრი ვ. მიქიაშვილი 6 თვის განმავლობაში დადიოდა საქალაქო კომიტეტში და თხოულობდა პირადი საქმის მოძებნას. ბოგრამ მას მუდამ უარით ისტუმრებდნენ, შემდეგ კი მისი პირადი საქმე არქივში იქნა აღმოჩენილი. პარტიის წევრები გრ. ბურძგლა, ჰ. მიქაბერიძე და კ. ფაჩულია, რომლებსაც კომკავშირში მუშაობა არ შეუწყვეტიათ, „მკვდარ სულებად" ითვლებოდნენ.

თუმცა ალკკ ფოთის საქალაქო კომიტეტმა მნიშვნელოვნად შეამცირა „მკვდარ სულთა" რიცხვი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ახლა ქალაქკომში ყველაფერი რიგზეა. ზოგიერთი პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია, მაგალითად ნავსადგურისა (კომიტეტის მდივანი —ხ. დავითაია), უყლევის ადგილობრივი მრეწველობის ტრესტისა, მოზრდილთა სკოლისა და სხვ.—სუსტად მუშაობს „მკვდარი სულების" შესამცირებლად და, რაც მთავარია, ამ საქმეში ჩაბმული არ არის კომკავშირული აქტივი.

ზოგიერთ კომკავშირელს შეეხებული აქვს ორი პირადი საქმე. მაგალითად, ანეტა კილასონიას ერთი პირადი საქმე აქვს ფოთის ქალაქკომში, მეორე კი გეგეჭკორის რაიკომში.

ალკკ ფოთის ქალაქკომს აქვს სხვა მეტად სერიოზული ნაკლიც: კომკავშირელთა ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები შეტანილი არ არის პირად საქმეებში. მაგალითად, ჰ. სალუქვაძეს პირად საქმეში საშუალო განათლება უწერია, ნამდვილად კი ის უმაღლესი განათლებით არის. ასევე შეიძლება ითქვას მასწავლებელ ი. ყურაშვილზე და სხვ. 200 კომკავშირელის პირად საქმეში შეტანილი არ არის პარტიულობა. პირადი საქმის შევსების შემდეგ ბევრი კომკავშირელი შევიდა პარტიაში, მაგრამ ეს ცვლილებანი შემდეგ აღარ შეუტანიათ საქმეებში.

კომკავშირის ფოთის საქალაქო კომიტეტმა კომკავშირული ორგანიზაციის მთელი აქტივი უნდა დარაზმოს ამ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

ზ. მელიქია

ლენინი

თბილისის ასფალტ-ბეტონის ქარხანაში პროპაგანდისტ - კონსულტანტი ამხ. შ. მოწონელიძე (მეორე ძარჯვხიდან) კონსულტაციას უწევს თანამგრძნობთა ჯგუფში მიღებულ ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკებს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შესწავლისათვის. ფოტო ვ. ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ჭიათურა. სტალინის სახელობის მარგანეცის გამამუხვებელი თერმოელექტროსადგურის ფაბრიკა.

ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ჩვენ გვწერენ

ვიხსნათ მშობლები მხეცი შვილისაგან

სოფ. ავლევის (ხაშურის რაიონი) მეცხოვრებმა სიმონ მეგრელიშვილმა, რომელსაც 1928 წელს უფროსი ვაჟიშვილი გარდაეცვალა, ობლად დარჩენილი შვილიშვილების აღზრდა იკისრა. ერთმა მათგანმა თბილისის საფერშლო ტექნიკუმი დაამთავრა, ხოლო მეორე ხაშურის სრული საშუალო სკოლის მე-7 ჯგუფის ფრიადოსანი მოწაფეა.

მშობლიურმა მზრუნველობამ, რომელსაც სიმონი თავისი ცოლიანთურთ შვილიშვილებისადმი იჩენდა, რატომღაც გაბოროტა და ბოღმით აავსო მისი უმცროსი შვილის დათიკოს გული. იგი მამას კატეგორიულად უკრძალავდა ობლების სახლში ყოფნას და მშობლებს ყოველდღიურად აწიოკებდა.

ეინაიდან ს. მეგრელიშვილი არ დაეთანხმა თავის გულქვა შვილს, რომ ობლები ქუჩაში გაეყარა, გაშორდა მას და ბავშვებთან ერთად დამოუკიდებლად დაიწყო ცხოვრება. დ. მეგრელიშვილმა არ ისვენებდა, იგი ისე გათავხედდა, რომ მშობლებს ცემა დაუწყო.

ა.-წ. 24 სექტემბერს დ. მეგრელიშვილი სახლში მიუვარდა მშობლებს და მამას თავისკეფა გაუტეხა, ხოლო დედას ცხვირ-პირიდან სისხლი ადინა.

სოფ. ავლევის მოსახლეობა აღშფოთებულია დ. მეგრელიშვილის ასეთი მხეცური საქციელით. სოფლსაბჭომ მილიციის აგარის საგუშაგოს უფროსს მისწერა, რომ მიეღოთ სათანადო ზომები მის წინააღმდეგ, მაგრამ ამაოდ.

ერთ დღეს, როდესაც ს. მეგრელიშვილი თავისი ცოლით გზად მიდიოდა, მას თავს დაესხნენ რძალი და სიძე ლ. ჟღენტი, შეჰყვირეს: „როგორ თუ თქვენ დათიკოს წინააღმდეგ საჩივარი აღძარითო" და კეტებით უმოწყალოდ ცემა დაუწყეს. ამის შემდეგ დ. მეგრელიშვილი კვლავ მიუხტა მშობლებს სახლში და ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანა ისინი: „რაც ჩემმა ცოლმა და ქვისლმა დაგაკლოთ, მე შეგისრულებთო". მომხდარი ამბის შემდეგ დაზარალებულებმა ხაშურის მილიციის უფროსს მიმართეს, მაგრამ აქაც ბიუროკრატები აღმოჩნდნენ და ამ საქმეს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს.

უდანაშაულო მშობლები, რომლებსაც შვილისათვის მზრუნველი ხელი არ მოუკლიათ და მისი მომავალით ამაყობდნენ, ყოველდღიურად სიკვდილს მოელიან მისგან.

ვიმედოვნებთ, რომ ხაშურის რაიონის პროკურორი დაუყოვნებლივ ლაგამს ამოსდებს დ. მეგრელიშვილის მხეცურ საქციელს და სათანადოს მიუზღამს მას.

მ. ბრეგიძე

რაიონის დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა

გორი, 14 დეკემბერი (საკ. კორ.). „სტალინელის" (საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის და რაიაღმასკომის ექვსდღიური ორგანო) და „დამკვრელი მეკონსერვის" (გორის საკონსერვო ქარხნის პარტკომის და პროფკავშირის ხუთდღიური ორგანო) რედაქციებში 11 დეკემბრისათვის გაამზადეს გაზეთები; საჭირო იყო მხოლოდ რაილიტის ვიზა, და მკითხველები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წლისთავის დღეს—12 დეკემბერს წაიკითხავდნენ გაზეთებს „სტალინელს" და „დამკვრელ მეკონსერვს", მაგრამ ამაო გამოდგა ამ გაზეთების რედაქტორების ვ. ფანჩვიძისა და გ. ნადირაშვილის შფოთვა; პარტიის გორის რაიკომის მდივნებიც ჩაერიენენ საქმეში, მაგრამ რაილიტი რ. მიქელაძე ვერ აღმოაჩინეს. გაზეთების ბეჭდვა რ. მიქელაძის დაუდევრობით ერთი დღით შეფერხდა. მიქელაძემ ბეჭდვის ნებართვა გასცა 12 დეკემბერს საღამოს 6 საათზე, როცა ვიზა უნდა მიეცა 11 დეკემბერს საღამოს 10 საათზე.

ამრიგად, 12 დეკემბრის „სტალინელი" და „დამკვრელი მეკონსერვე" მკითხველებს მიაწოდეს 13 დეკემბერს.

რა არის ეს, უბრალო დაუდევრობა თუ დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა? **ს. ყურაშვილი**

გ. ლეიბზონი

პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი"

წარსული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებამდე მუშათა მოძრაობა რუსეთში სოციალიზმთან შეერთებული არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ მუშათა მოძრაობა განუწყვეტლივ იზრდებოდა და სულ ახალ-ახალ რაიონებს იპყრობდა, მუშების ბრძოლა სტიქიური რჩებოდა, გაფიცვებს ვიწრო-ადგილობრივი და ეკონომიური ხასიათი ჰქონდა.

მართალია, ჯერ კიდევ 80-იან წლებში, მუშათა მოძრაობის ზრდის ნიადაგზე და დასავლეთ-ევროპის მარქსისტების გავლენით, რუსეთში პირველი მარქსისტული წრეები და ჯგუფები იქმნება, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ცოტანი იყვნენ, თითქმის არ აბამდნენ კავშირს მუშებთან და უმთავრესად შინასაწრეო პროპაგანდით კმაყოფილდებოდნენ.

პირველი მარქსისტული ორგანიზაციები სერიოზულ გავლენას ვერ ახდენდნენ მუშათა მასობრივ მოძრაობაზე. „შრომის განთავისუფლების" ჯგუფიც კი, რომელიც 1883 წელს დაარსდა შვეიცარიაში და რომელმაც დიდი მუშაობა შეასრულა რუსეთში მარქსიზმის გავრცელებისათვის, პრაქტიკულად ძალიან სუსტად იყო დაკავშირებული მუშათა მოძრაობასთან. ლიტერატურა, რომელსაც იგი საზღვარგარეთიდან რუსეთს ჰგზავნიდა, მხოლოდ ინტელიგენციაში და მოწინავე მუშების ვიწრო წრეში ვრცელდებოდა. „შრომის განთავისუფლების" ჯგუფმა რუსეთის სოციალ-დემოკრატია მხოლოდ თეორიულად დააარსა და პირველი ნაბიჯი გადადგა მუშათა მოძრაობის მიმართულებით,—სწერდა ლენინი. ამავე დროს კი მებრძოლი მარქსისტული პარტიის შესაქმნელად საჭირო იყო მუშათა კლასის შეიარაღება სოციალისტური იდეებით, ვინაიდან „სოციალ-დემოკრატია, — როგორც ლენინი სწერდა, — წარმოადგენს სოციალიზმის შეერთებას მუშათა მოძრაობასთან".

ამ ამოცანის გადაჭრას ხელი მოჰკიდა ლენინმა. მისმა პირველმა გამოსვლებმა პეტერბურგის მარქსისტულ წრეებში, სადაც იგი 1893 წლის შემოდგომაზე გადავიდა, ის პეტერბურგელი მარქსისტების აღიარებულ ხელმძღვანელად გახადეს. ლენინმა სოციალ - დემოკრატების ყურადღება მარქსის აბსტრაქტული შესწავლიდან მოაბრუნა იმისაკენ, რომ ესწავლათ, თუ როგორ მიეყენებინათ მარქსიზმი რუსეთის სინამდვილისათვის. ის ღრმად და პრაქტიკულად სწავლობდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებებს და იმ ვითარებას, რომელშიაც მოუხდებოდათ მოქმედება რუსეთის სოციალ - დემოკრატებს.

მარქსიზმის შემდგომი გავრცელების უზრუნველსაყოფად და მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შესატანად საჭირო იყო ნაროდნიკების, მარქსიზმის ამ უბოროტესი მტრების განადგურება. „თავის წიგნში „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?" (1894 წელი) ლენინმა ბოლომდის ამხილა ნამდვილი სახე ნაროდნიკებისა, როგორც ხალხის ყალბი „მეგობრებისა", რომლებიც საქმით ხალხის წინააღმდეგ მიდიოდნენ" (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 25).

ამ წიგნში ლენინმა განავითარა რუსეთის მარქსისტთა ფართო პროგრამა და წამოაყენა **„სოციალისტური მუშათა პარტიის ორგანიზაციის"** ამოცანა (ტ. 1, გვ. 189).

ლენინი ამ ხანებში თვითონ აბამს კავშირს მოწინავე მუშებთან და 1895 წელს დაახლოებით 20 მარქსისტულ წრეს აერთიანებს პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში" — „ამით მან მოამზადა რევოლუციური მარქსისტული მუშათა პარტიის შექმნა". (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 21).

ლენინი ცდილობდა, რომ პეტერბურგის კავშირში გაერთიანებული წრეები მარქსიზმის პროპაგანდიდან მუშათა მასებში ფართო აგიტაციაზე გადასულიყვნენ, გამოჭხმაურებოდნენ მუშების ყოველდღიურ საჭიროებებსა და მოთხოვნებს და პოლიტიკური ხელმძღვანელობა გაეწიათ მუშათა მოძრაობისათვის.

ორგანიზაციულად პეტერბურგის „ბრძოლის კავშირი" აგებული იყო იმგვარად, რომ რაც შეიძლება უფრო მჭიდროდ დაეკავშირებინა მარქსისტული წრეები ფაბრიკებთან და ქარხნებთან, შესაძლებლობა ჰქონდა სწრაფად ჩაბმულიყო მუშების საგაფიცვო ბრძოლაში და ხელმძღვანელობა გაეწია ამ ბრძოლისათვის.

„ბრძოლის კავშირის" ხელმძღვანელმა ცენტრალურმა ჯგუფმა მარქსისტებისამ, რომელსაც ლენინი მეთაურობდა, ეგრეთწოდებულ „მოხუცთა" ჯგუფმა, თავის წრიდან გადმოჰყო ცენტრი, რომელიც აერთიანებდა „კავშირის მთელ მუშაობას რაიონებში. ლენინი კავშირის ყველა გამოცემის რედაქტორად დაინიშნა. ხელმძღვანელი ჯგუფის წევრები მიმაგრებულ იქნენ პეტერბურგის ცალკეულ რაიონებზე, ამ გზით პეტერბურგის „ბრძოლის კავშირი" პეტერბურგის უდიდეს ქარხნებსა და ფაბრიკებს დაუკავშირდა. 1895 წლის გაფიცვები უკვე პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის" ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა და ამის მეთხებით თავისი ორგანიზებულობითა და შეუპოვრობით განირჩეოდა. ინგლისელი კაპიტალისტის ტორნტონის ფაბრიკის ფეიქართა გაფიცვა მუშების გამარჯვებით დამთავრდა, წარმატებით ჩატარდა გაფიცვები ლაფერმის ფაბრიკაში და სხვა საწარმოებში.

საგაფიცვო ტალღამ მეფის რუსეთისათვის მანამდე სრულიად უმაგალითო აღმავლობას მიაღწია 1896 წლის ზაფხულს. პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის" მოღვაწეობის შედეგი იყო პეტერბურგელი ფეიქრების გრანდიოზული გაფიცვა, რომელიც 30 ათას მუშას მოედო. თავისი გაქანებითა და ორგანიზებულობით გაფიცვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ქვეყანაში და ცხადჰყო, თუ რა დიდ ძალას წარმოადგენს მუშათა კლასი, როცა მას მარქსისტები ხელმძღვანელობენ. „90-იანი წლების მუშათა მოძრაობამ,—სწერდა ლენინი, — ფართო პოლიტიკური მნიშვნელობა მიიღო" (ტ. II, გვ. 536). პეტერბურგის „ბრძოლის კავშირი" მოხერხებულად აერთიანებდა საარსებო, გადაუდებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის მუშების ეკონომიურ ბრძოლას საძულველი წყობილების, მეფის წყობილების მოსპობისათვის პოლიტიკურ ბრძოლასთან. „ლენინის ხელმძღვანელობით პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა" რუსეთში პირველად იწყო მუშათა მოძრაობასთან **სოციალიზმის შეერთების** განხორციელება" (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 22).

ამ მუშაობაში ლენინის ხელში უბასრეს იარაღს წარმოადგენდნენ სოციალისტური პროკლამაციები და ფურცლები, რომლებიც საჭირბოროტო მოვლენებს ეხმაურებოდნენ. ნათელი, უბრალო სიტყვებით დაწერილი ფურცლები მკაფიო, პირდაპირს პასუხს იძლეოდნენ ურთულეს საკითხებზე, ეხმარებოდნენ მუშებს პოლიტიკური დასკვნების გამოსატანად მათთვის ცხობილი ყოველდღიური ფაქტებიდან.

„ფურცლების" მთავარი შინაარსი იყო საფაბრიკო წესების მხილება" (ლენინი). ფურცლებში აწერილი იყო შრომის არაადამიანური პირობები, მეწარმეთა და ოსტატთა თვითნებობა, წამოყენებული იყო მოთხოვნები, რომელთათვის საბრძოლველად მოუწოდებდნენ მუშებს. მახლობელი მაგალითები, გასაგები სიტყვები არწმუნებდნენ მუშებს იმაში, „რომ მექარხნეებიც, პოლიციაც, მთელი სახელმწიფო ძალაუფლებაც — ისინი ყველანი ერთად არიან და ყველანი ჩვენს წინააღმდეგ არიან". ასეთი აგიტაცია მუშების კლასობრივ შეგნებას აღვიძებდა და დასაბამს აძლევდა სოციალიზმის იდეათა გავრცელებას.

ამ ლიტერატურის წარმატება უაღრესად დიდი იყო. მოკლე ხანში ფურცლებმა პეტერბურგის მუშათა სიმპატიები მოიპოვეს და უმნიშვნელოვანეს მაორგანიზებელ ძალად გადაიქცნენ საგაფიცვო ბრძოლაში. პირველი ფურცელი ლენინმა დასწერა. მან თვითონ გადასწერა იგი ხელით, ბეჭდური ასოებით, ოთხ ეგზემპლარად და დაავალა ბაბუშკინს დაეფარტნა სემიანიკოვის ქარხანაში. ორი ფურცელი ადმინისტრაციას ჩაუვარდა ხელში, ხოლო ორი მუშებმა აიღეს და ხელიდან ხელში გადადიოდა. მაშინ ეს დიდ წარმატებად ითვლებოდა.

მაგრამ ფურცლების გამოცემისა და გაფრცელების ტექნიკა მალე იმდენად მოგვარდა, რომ უკვე 1896 წლის მაისის ფურცელი, აგრეთვე ლენინის ხელით დაწერილი, 40 ქარხანაში გავრცელდა ორი ათასი ცალის რაოდენობით. მაშინ „პროვიტელსტვენი ვესტნიკში" დაიბეჭდა ცნობა სოციალ - დემოკრატიის საქმიანობის შესახებ, „ბოროტგანმზრახველ პიროვნებათა" შესახებ, რომლებმაც პეტერბურგის 1896 წლის გაფიცვის დროს „25 სხვადასხვა შაარსის მოსაფანტავი ფურცლები დაბეჭდეს".

პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" მასობრივმა ფურცლებმა და ბროშურებმა დიდი, როლი შეასრულეს მუშათა მასების პოლიტიკურ გამოღვიძებაში. ფურცელში „მეფის მთავრობას", რომელიც დაწერილია 1896 წლის დამლეგს საპატიმროში, ლენინი მოგვითხრობს, თუ როგორ კითხულობდნენ და ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ მუშები იმ ფურცლებს, რომლებშიაც ლაპარაკი იყო უკვე არა მარტო მათ ეკონომიურ საჭიროებებზე, არამედ რუსეთის მოქალაქეთა უუფლებობაზედაც, მთავრობის ველურ თვითნებობაზედაც. რუსეთის მთელი სინამდვილე უჩვენებდა მუშებს, რომ „მათი ომი მეფაბრიკეებთან,—სწერდა ლენინი, —აუცილებლად მთავრობასთან ომი უნდა იყოს. სოციალისტებს ის-ღა დარჩენიათ, რომ დაადასტურონ ეს და გამოაქვეყნონ ფურცლებში".

მასებში კავშირის გავლენის გაესაძლიერებლად და მისი ორგანიზაციული და იდეური განმტკიცებისათვის ლენინი სოციალისტური გაზეთის „რაბოჩეე დელოს" გამოცემას შეუდგა. ლენინმა უკვე დასაბეჭდად მოამზადა გაზეთის პირველი ნომერი, მაგრამ 1895 წლის 9 დეკემბერს, ლენინისა და სხვა „მოხუცების" დაპატიმრების დროს, გაზეთის მთელი მასალა პოლიციას ჩაუვარდა ხელში. „ამგვარად 90-იან წლების რუს სოციალ - დემოკრატთა ეს, თუ არ ვცდებით, „პირველი გამოცდილება", — სწერდა ლენინი თავის გენიალურ წიგნში „რა ვაკეთოთ?", —წარმოადგენს არა ვიწრო-ადგილობრივი, მით უმეტეს არა „ეკონომიური" ხასიათის გაზეთს, რომელიც ცდილობს შეათავსოს საგაფიცვო ბრძოლა რევოლუციურ მოძრაობასთან თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და სოციალ - დემოკრატიის დასახმარებლად მიიზიდოს რეაქციული ბნელეთის მოქიქულთა პოლიტიკით ყველა ჩაგრული" (ლენინი, ტ. IV, გვ. 385).

ლენინის პირველმა გაზეთმა, რომელიც მოფიქრებული იყო როგორც პოლიტიკური აგიტაციისა და პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის" გარშემო სოციალ - დემოკრატიული წრეების გაერთიანების ორგანო, როგორც სოციალიზმის დიადი იდეების პროპაგანდის ორგანო, ვერ მოასწრო გამოსვლა იმის გამო, რომ მას თავს დაატყდა პოლიციის რისხვა. მაგრამ უკვე 6 წლის შემდეგ ლენინის „ისკრიდან" (ნაპერწკალი) რევოლუციისათვის ბრძოლის ალი ავარდა.

პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის" წრეებში იზრდებოდნენ მუშათა წრიდან გამოსული პირველი პროფესიონალი - რევოლუციონერები.

ლენინი ამ წლებში პირადად ზრდიდა შესანიშნავ პროლეტართა ჯგუფს და ეხმარებოდა მათ რევოლუციური თეორიის დაუფლებაში. ერთერთ წრეში, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა, ექვსი მუშა მეცადინეობდა. მეცადინეობის დროს ლექტორი „ხშირად ცდილობდა გამოეწვია ჩვენში,—სწერს თავის მოგონებებში წრის მონაწილე ბაბუშკინი,—ან შეკამათება ანდა დავის დაწყების სურვილი და მაშინ აქეზებდა, აიძულებდა ერთს დაემტკიცებინა მეორისათვის თავისი თვალსაზრისის სიმართლე ამათუიმ საკითხში. ამ ლექციებმა დამოუკიდებელ მუშაობას, მასალის პოვნას მიგვაჩვიეს". 1895 წელს ლენინის დაპატიმრების საპასუხოდ მისმა მოწაფემ ბაბუშკინმა სრულიად დამოუკიდებლად დასწერა თავისი პირველი ფურცელი „რა არის სოციალისტი და პოლიტიკური დამნაშავე".

„ძმებო ამხანაგებო, რა ძნელია იმის დანახვა, რომ ჩვენ ასე დაბლა ვდგევართ ჩვენი განვითარებით, — სწერდა ბაბუშკინი. ჩვენს უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ აქვს იმაზე, თუ რა არის სოციალიზმი". და ბაბუშკინიც განუმარტავდა მუშებს, თუ ვინ არიან სოციალისტები და რისთვის მოუწოდებენ ისინი მეფაბრიკეებთან და მთავრობასთან ბრძოლისაკენ.

მოძრაობის ხელმძღვანელთა გამოჩენა მუშათა წრიდან პირდაპირი შედეგი იყო მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შესაერთებლად წარმოებული იმ მუშაობის წარმატებისა, რომელიც ლენინმა დაიწყო პეტერბურ

ბელორუსიიდან გერმანელი ოკუპანტების განდევნის XX წლისთავი

ბელორუსმა ხალხმა ღირსეულად დაიცვა თავისი სამშობლო

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე ბელორუსიის ბოლშევიკებმა ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით გაშალეს მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად. 1917 წლის ნოემბრის შუაჩიცხვებისათვის ბელორუსიის ყველა ქალაქში არჩეულ იქნენ ბოლშევიკური საბჭოები. ბელორუსიის ხალხი, მოძმე რუს ხალხთან შეკავშირებული, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, აღსდგა საბრძოლველად მემამულურ-კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ, ექსპლოატატორული ყოფილების მოსპობისათვის, სოციალიზმისათვის.

ბელორუსიის მუშებმა და გლეხებმა იწყეს ახალი, საბჭოთა სახელმწიფოს შენება, რომელსაც შეეძლო დაეცვა პროლეტარული რევოლუციის მონაპოვარნი, დაეცვა ბელორუსი ხალხის თავისუფლება და დამოუკიდებლობა იმპერიალისტური სახელმწიფოებისა და კონტრრევოლუციის შინაური ძალების ხელყოფისაგან.

მემამულეებმა და კაპიტალისტებმა და მათმა ლაქიებმა — ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა, მენშევიკებმა, ესერებმა, ბუნდელებმა და ანარქისტებმა დაიწყეს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ბელორუსი ხალხის წინააღმდეგ. ბელორუსიის ტერიტორიაზე იმ ხანებში მომქმედ მოღალატეთა და გამცემელთა საზიზღარი ბანდა დაუკავშირდა ტროცკისტ-ბუხარინელ ბანდიტებს, რომლებმაც მოაწყეს მაშინ კონტრრევოლუციური შეთქმულება ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, განთავისუფლებული საბჭოთა ხალხის დიდი ბელადების წინააღმდეგ.

ხალხის მტრები ყოველნაირად ეწეოდნენ იმის პროვოკაციას, რომ ომი გერმანელებთან გაგრძელებულიყო, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ გერმანელი მტაცებლები შეიარაღებული ხელით მოსპობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და აღადგენდნენ მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობას. იუდა-ტროცკიმ, რომელიც თავის ბატონ-პატრონების ნება-სურკილს ასრულებდა, ბრესტში წარმოებული საზავო მოლაპარაკების დროს საზიზღარი ღალატითა და გამცემლობით კარები გაუღო მტერს, ხელფეხი გაუხსნა გერმანელ იმპერიალისტებს. ტროცკისტების, ბუხარინელების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების, ესერების, მენშევიკებისა და სხვა მოღალატეების გამცემლობაზე დაყრდნობით, დამპყრობლებმა დაიწყეს შეტევა ნორჩი, ჯერ კიდევ ფეხმოუმაგრებელი საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. 1918 წლის 18 თებერვალს გერმანიის ჯარმა დაიწყო ბელორუსიის მიწა-წყლის დაპყრობა—მან დაიკავა პოლოცკი, მინსკი, ბორისოვი, ორშა და ბელორუსიის სხვა ქალაქები და სოფლები.

გერმანელი დამპყრობელები უსასტიკესი ტერორის გზით აწარმოებდნენ მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების აღდგენას. დღისით-მზისით ძარცვავდნენ ბელორუსიის მუშებსა და გლეხებს. ბელორუსი ხალხის საუკეთესო შვილებს სდევნიდნენ და ხვრეტდნენ. მრავალი სოფლისა და დაბის მცხოვრებნი გარბოდნენ მოძმე რუსეთის რესპუბლიკაში, რათა თავი გადაერჩინათ მძარცველებისაგან.

გერმანელი დამპყრობლები ოცნებობდნენ იმაზე, რომ იოლად ჩაეგდოთ ხელში დიდი ნადავლი ბელორუსიაში, მაგრამ ისინი სასტიკად მოსტყუვდნენ ანგარიშში. ოკუპანტებმა ვერ შესძლეს ბელორუსი მუშებისა და გლეხების დამონება. ბელორუსი ხალხი, რუს მუშებთან და გლეხებთან ძმურად შეკავშირებული, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, აღსდგა უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ. მუშურ-გლეხური წითელი არმია და პარტიზანები სასტიკად ამარცხებდნენ გერმანელ დამპყრობლებს.

წითელი არმიის შეტევამ 1918 წლის შემოდგომაზე გერმანელ დამპყრობთა პანიკური და სამარცხვინო გაქცევა გამოიწვია. მათთან ერთად უკანმოუხედავად გარბოდნენ მემამულეები და კაპიტალისტები.

1918 წლის 10 დეკემბერს წითელი არმია მინსკში შევიდა. მას მშრომელები აღტაცებით შეეგებნენ.

1918 წლის 13-14 დეკემბრისათვის გერმანელი დამპყრობნი საბოლოოდ იქნენ განდევნილნი ბელორუსიის ქალაქებიდან და სოფლებიდან. გერმანიის არმიიდან უბადრუკი ბრბო-ღა დარჩა. განთავისუფლებულ ბელორუსიაში საბჭოების წითელი დროშა კვლავ აფრიალდა.

ასე, 20 წლის წინათ სრული განადგურებით გათავდა გერმანელ დამპყრობთა ცდა — დაემორჩილებინათ საბჭოთა ბელორუსია. წითელი არმიის დახმარებით, რუსი ხალხის ძმური დახმარებით, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ბელორუსმა ხალხმა ღირსეულად დაიცვა თავისი სამშობლო. და ახლა ბელორუსიის სს რესპუბლიკას 11 მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის ბრწყინვალე თანავარსკვლავედში თავის საპატიო ადგილი უკავია. იგი გადაიქცა მძლავრ ფოროპოსტად კაპიტალისტური დასავლეთის საზღვარზე.

ისტორიული დოკუმენტები

მე-3 სათადარიგო კორპუსის მეთაურის განკარგულებიდან

მთელი სურსათ-სანოვაგე, როგორც პირუტყვი (ხბოები, ღორები, ყოჩები, ცხვრები), ფქვილი, მარცვლეულის პური (ჭვავი, ხორბალი), ბოსტანი მცენარეები (მუხუდო, ცერცვი, ოსპი, ცერცველა, ხანდური, ლუპინი), ძირნაყოფნი (კარტოფილი, თალგამურა, სტაფილო, საკვები და შაქრის ჭარხალი, ბოლოკი), აგრეთვე ბრინჯი, წიწიბურა, პიპკი და სხვ., კვერცხი, რძე, ყველი და სხვ. და საქონლის საკვები (შვრია, ქერი, მარცვლეულის ნარევი, თივა, ჩალა), თესლეული (სამყურა, ბალახი, ჩიტფეხა და სხვ.) და ყველაფერი, რაც აქედან გამომუშავებულია: ფქვილი, ქატო და სხვა რეკვიზირებულია გერმანიის სამხედრო ხელისუფალთა მიერ...

სასტიკად აკრძალულია სურსათ-სანოვაგისა და საქონლის საკვების მიყიდვა კერძო პირებისა და ვაჭრებისათვის და კონტრაბანდა, აგრეთვე სადემარკაციო ხაზით ველიკოროსიაში გატანაც...

მცხოვრებლებისა და პირუტყვის საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება დაიშვება შემდეგი ოდენობით: 225 გრამი მარცვლეულის პური და 50 გრამი მარცვლეულის ნარევი, 300 გრამი კარტოფილი ყოველდღიურად, 150 გრამი ხორცი ან თევზი სულზე ყოველკვირეულად...

ისჯება: ვინც არღვევს განკარგულების მე-5 პარაგრაფს, ან იღებს ზომებს, რათა ხელი შეუშალოს გერმანიის სამხედრო ხელისუფალთ — წაიღონ 1-ლ პარაგრაფში ჩამოთვლილი სურსათ-სანოვაგე და საქონლის საკვები (დამალვა, დაფარვა, მოსპობა, დალპობა)—დაჯარიმებით 6.000 მარკამდე, ან დაპატიმრებით 1 წლამდე. ამ სასჯელს ადებენ სამხედრო უფროსები...

მე-3 სათადარიგო კორპუსის მეთაური გრაფი ბრედოვი.

დეკეშა

1918 წლის 6 მარტი

პოლოცკის მაზრის ეფოსინგინის, ზამუანის, ლერვისენის, კლიასტიცის და იზინის თემებმა დაიწყეს თავგანწირული პარტიზანული ომი გერმანელებთან და მემამულეებთან. გერმანელები, რომლებსაც მემამულეთა შვილები ხელმძღვანელობენ, თავს ესხმიან ორგანიზაციას და პირდაპირ სოფლებს. პარტიზანებს არა აქვთ ვაზნები და არ ჰყოფნით შაშხანები... ამ თემების მოსახლეობამ მას შემდეგ, რაც გერმანელებმა გამოსცეს ბრძანება მემამულეებისათვის ყველაფრის დაბრუნების შესახებ, ერთსულოვნად დაიწყო ბრძოლა. მეტად საბრძოლო და მხნე განწყობილებაა. გთხოვთ მოსთხოვოთ გერმანელთა სარდლობას — შესწყვიტოს თავდასხმები დადებული ხელშეკრულების თანახმად. პარლამენტიორები ჯერ კიდევ არ დაბრუნებულან, მოგვეცით დირექტივები მოქმედებისათვის.

ნოვო-სოკოლნიკის რაიონის შტაბის კომისარი (ხელმოწერა).

ამონაწერი

სოფელ სტაროეს კომენდანტის 1918 წ. 10 აპრილის ბრძანებიდან

სასტიკად იკრძალება რაიმე რევოლუციური პროპაგანდის გავრცელება, აგრეთვე გაზეთისა ან რევოლუციური აზრისაკენ მოწოდების გავრცელება. ასეთი დანაშაული დაისჯება საპყრობილეთი.

ყოველი მამაკაცი—აქაური მცხოვრები გერმანელ ოფიცრებს სალამს უნდა აძლევდეს ქუდის მოხდით. ამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის დამნაშავეებს დაედებათ ფულადი ჯარიმა, ანდა გაიგზავნებიან ტვირთმზიდავ ტყვეთა ჯგუფში.

სოფელი სტაროე, 1918 წ. 10 აპრილი. კომენდანტი.

განცხადება

ვუკრძალავ იუდეველთა სარწმუნოების ადგილობრივ მცხოვრებთ იქონიონ რაიმე ურთიერთობა ჩემს ჯარისკაცებთან, ისეირნონ მათთან, ესაუბრონ მათ და სხვ. ჩემდამი დაქვემდებარებულ ორგანოებს მიცემული აქვთ ბრძანება დააპატიმრონ ყველა, ვინც ამ ბრძანებას დაარღვევს.

დაპატიმრებული პირველად ფიზიკურად დაისჯება, განმეორებისას — დახვრეტილი იქნება.

ხელი მოაწერა:

ავსტრია-უნგრეთის ჯარის სარდალმა ობერსტ ვლადარმა.

ქალაქ მინსკის ყველა მუშას

10 ამა დეკემბერს ქალაქ მინსკში შემოდის საბჭოთა ჯარი, ამიტომ ქ. მინსკის მუშათა დეპუტატების საბჭოსთან არსებული საზეიმო შეხვედრის მომწყობი კომისია წინადადებას აძლევს ყველა ამხანაგ მუშას — გამოცხადდნენ 10 ამა დეკემბერს დილის 8 საათისათვის თავის კავშირების შენობებში და დილის 9 საათზე მწყობრი და შემჭიდროებული რიგებით გამოვიდნენ შესაკრებ პუნქტზე, თავისუფლების მოედანზე.

კომისია.



კადრი კინოფილმიდან „ალექსანდრე ნეველი". სახალხო არტისტი, ორდენოსანი ნ. ჩერკასოვი თავად ალექსანდრე ნეველის როლში.

ვებმეგით სოცშეჯიბრებაში უკრაინაში გასაგზავნ დელეგაციაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის

თბილისის რაიონის სოფ. მუხრანის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ვალდებულებანი

ჩვენ, სოფ. მუხრანის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, უდიდესი ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას უკრაინის, სომხეთისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკების კოლმეურნეობათა შორის.

იმ დროს, როდესაც ფაშისტურ გერმანიაში პირსისხლიანი ფაშისტები არბევენ, აწიოკებენ ებრაელ ხალხს და ჟლეტენ მას, — ჩვენ, მშრომელი ებრაელები, საბჭოთა კავშირში ყველა ხალხებთან ერთად საამურად ვცხოვრობთ და აქტიურად ვმონაწილეობთ სოციალისტურ მშენებლობაში. ჩვენი კოლმეურნეობა უმთავრესად ებრაელებისა, ქართველებისა და სომხებისაგან შესდგება. ებრაელები, ქართველები და სომხები ვცხოვრობთ ძმურად, ინტერნაციონალიზმის გრძნობით აღსავსენი — ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშის ქვეშ.

სოფ. მუხრანის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრები გულდასმით გავეცანით გაზეთ „კომუნისტის" 11 დეკემბრის ნომერში თბილისის რაიონის ორთაჭალის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა წინადადებას უკრაინაში გასაგზავნ დელეგაციაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. ჩვენც ერთსულოვნად ვდებულობთ ორთაჭალელ კოლმეურნეთა გამოწვევას და ჩვენის მხრივ ვკისრულობთ:

1939 წელს დავთესოთ ხორბალი 95 ჰექტარზე, ნაცვლად მიმდინარე წლის 75 ჰექტარისა, და ჰექტარზე საშუალოდ მივიღოთ 18 ცენტნერი პური, სიმინდის საერთო ფართობი ავიყვანოთ 25 ჰექტარზე და ჰექტარიდან მივიღოთ 25 ცენტნერი. მძრალად მოვხნათ 40 ჰექტარი. ბოსტნეული გავადიდოთ 12 ჰექტარამდე, ნაცვლად მიმდინარე წლის 7 ჰექტარისა. დამატებით გავაშენოთ ვაშლისა და მსლის ბაღი 2 ჰექტარზე, ხოლო ვენახი — 3 ჰექტარზე.

ამჟამად მიმდინარეობს 50 ბინის აგება კოლმეურნეობის წევრთათვის. გვისრულობთ პირველი იანვრისათვის მზად იყოს 15 ბინა, ხოლო დანარჩენი ბინები კი 1939 წლის 1 მაისისათვის. ახალ ბინებთან ავაშენოთ საკოლმეურნეო კლუბი, საბავშვო ბაგა და აბანო.

უახლოეს დროში მოვამზადოთ საკუთარი კადრები, პირველ რიგში ერთი ტრაქტორისტი და ერთი აგროტექნიკოსი

დავეუფლოთ საძიერო საქმეს. ჩავაბათ კოლმეურნეობის ყველა წევრი თავდაცვა-ავიაქიმისა და ეროშოილოველ მსროლელთა წრეებში

თბილისის რაიონის სოფ. მუხრანის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა დავალებით: მ. ბაზაზაშვილი (კოლმეურნეობის თავმჯდომარე), **კოლმეურნეობის ბრიგადირები და სტახანოველები: ლ. იოსრამაშვილი, ი. ბაიაზოვი, კ. მჭედლიშვილი, ი. სამაშვილი, ვარა კიკნაძე, ეთერი ბაიაზოვი, მ. ელუაშვილი, ბ. მაღალაშვილი** და **ბ. არზუმანოვი.**

სოცშეჯიბრება ფრაქტორების რემონტის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის

აგარის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ რამდენიმე დღის წინათ განიხილა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და მტს-ების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილება საშემოდგომო-საზამთრო რემონტზე სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

სტახანოველი ტრაქტორისტები, სატრაქტორო ბრიგადირები, კომბაინერები, მექანიკოსები და სარემონტო სახელოსნოს მუშები ამ დადგენილების განხილვასთან დაკავშირებით ჩაებენ სოცშეჯიბრებაში და იკისრეს მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი. სოცშეჯიბრების ხელშეკრულებაში, რომელსაც ხელს აწერენ მტს-ის მოწინავე ადამიანები, ნათქვამია, რომ ისინი ვადამდე 10 დღით ადრე დაამთავრებენ გეგმით გათვალისწინებული 65 ტრაქტორის, 17 კომბაინის, 16 სალეწისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტს.

აგარის მტს-ის სტახანოველებმა იკისრეს მტკიცედ დაიცვან რემონტის გრაფიკი, დააწესონ ზუსტი კონტროლი საათადარიგო ნაწილების გამოყენებაზე, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და მიიღწიონ თვითღირებულებების შემცირებას 10 პროცენტით მაინც, ფართოდ გაშალონ ბრიგადული და ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრება რემონტზე მომუშავეთა შორის და მოაწყონ სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ყოველდღიური შემოწმება, რემონტზე საჭირო საწვავ-საცხები მასალების ხარჯვის ნორმები შეამცირონ 10 პროცენტით, თავის მომსახურების კოლმეურნეობებში მოძრავი სარემონტო ბრიგადების გაგზავნით უზრუნველჰყონ იარაღ-მანქანების რემონტის 5 თებერვლამდე დამთავრება.

რემონტზე მომუშავეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით აგარელებმა იკისრეს კულტურულად მოაწყონ საცხოვრებელი ბინები, გაუმჯობესონ კვების ხარისხი, მოაწყონ აბანო, ხუთ დღეში ერთხელ უჩვენონ კინო-სურათი და ჩაატარონ ლექციები ტექნიკისა და მეცნიერების ახალ მიღწევებზე, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მოაწყონ ტექნიკის დაუფლების წრეები და სხვ.

მტს-ის დირექციამ სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებელად დააწესა გარდამავალი დროშა და ხუთი ფულადი ჯილდო.

ნაკისრ ვალდებულებათა საუკეთესოდ შესრულების მიზნით აგარის მტს-მა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გორის მტს-ი.

რუსი ხალხის წარსულიდან

გერმანელ „ქოფაკ-რაინდების" შემუსვრა 1242 წელს

გერმანელი ფაშისტები ბევრს ლაპარაკობენ გერმანიის დიადი წარსულის და „რაინდული სულის" აღორძინებაზე; ამ დიადი წარსულის და „რაინდული სულის" აღორძინება მათ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიხატება კულტურის ძეგლების მოსპობაში, ყველა იმ მწერლების, პოეტების, ფილოსოფოსების და მეცნიერთა შრომების დაწვასა და ხსენების აკრძალვაში, ვისი სიტყვაც დისონანს შეიტანდა თანამედროვე კანიბალთა იმ ველურ ღმუილში, რომელიც გაისმის მესამე იმპერიის ყიდით-კიდემდე.

ჰიტლერი და მისი დამქაშები ამ „რაინდული სულის" გასავრცელებლად აღმოსავლეთში — საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მოსაწყობად გაძლიერებით ამზადებენ შესაფერ დასაყრდენ პუნქტებს.

ჰიტლერი დაუფარავად სწერდა, რომ ფაშისტური ბრბოები საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დროს წავლენ „იმავე გზებით, რომლითაც ოდესღაც მიდიოდნენ ჩვენი ორდენების რაინდებიო".

მაგრამ ამ ძველი რაინდების ფაშისტ მოტრფიალეებს საფუძვლიანად დავიწყებიათ ის მწარე გაკვეთილი, რომელიც მათმა წინამორბედებმა მიიღეს აღმოსავლეთისაკენ „მარწის" დროს, როცა „ქოფაკი-რაინდები" იძულებულნი შეიქნენ კუდამოძუებულნი გაბრუნებულიყვნენ უკან. დავიწყებიათ ის სასტიკი დამარცხებები, რომლებიც რუსეთის დიდ ხალხს არაერთხელ უგემია ამ ბედოვლათ „კულტურტრეგერებისათვის".

○

პირველი სასტიკი დამარცხება რუსეთის დიდი ხალხის დამონების მოტრფიალეებმა ამ შვიდასიოდე წლის წინათ იგემეს. ეს პოხდა ჩუდის ტბაზე, სადაც ალექსანდრე ნეველის ხელმძღვანელობით რუსეთის ხალხმა გააცამტვერა გერმანელ ჯვაროსანთა ურდოები.

ჯერ კიდევ VIII საუკუნის დასაწყისში მთელი ჩრდილო გერმანია სლავთა ტომებით იყო დასახლებული.

VIII-IX საუკუნიდან იწყება ელბასა და ვისლას შუა მცხოვრები სლავთა ტომების დაპყრობა გერმანელი ფეოდალების მიერ. გერმანელმა ფეოდალებმა დაპყრობილი მოსახლეობა ქრისტეს სახელით ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს. მათ ადგილზე დასახლდნენ გერმანელი კოლონისტები.

დაფანტული და ურთიერთ ბრძოლით დაუძლურებული სლავთა ტომები ვერ უძლებდნენ მრავალრიცხოვანი და უკეთ შეიარაღებული მტრების შემოსევას. „უფალმა კეთილდღეობა და გამარჯვება არგუნა ჩვენს ჰერცოგს [1]) და სხვა მთავრებს. სლავები ყველგან დაამარცხეს და გარეკეს. და მოვიდნენ ოკეანეს საპაიროებიდან ძლიერი და მრავალრიცხოვანი ტომები, რომლებმაც ხელთ იგდეს სლავთა მიწები, შეჭმნეს ქალაქები და ეკლესიები და მათმა გამდიდრებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა". [2])

კარლ მარქსის „ქრონოლოგიურ ამონაწერებში" ვკითხულობთ:

„1215: აყროლებული გერმანელი ბერი ხრისტიანი ოლივის მონასტრიდან პირველი ეპისკოპოსი პრუსიაში; ვინაიდან ისინი ჯანყდებიან მეათედის, ეკლესიების მშენებლობის, უცხო სასულიერო ჩაგვრის წინააღმდეგ:

1218: აყროლებული ბერი ქადაგობს ჯვაროსნულ ომს, ე. ი. მკვლელობას და სხვ...

1225: **აყროლებული ხრისტიანი ჭქმნის დობრინელი ძმების ორდენს** (**დობრინი**—მათი მთავარი რეზიდენცია); **პრუსებმა ამოჟლიტეს პირველნი ამ „რაინდებიდან".** [3]) მაშინ ხრისტიანმა დაბმარებისათვის მიმართა ტევტონთა ორდენს, რომელსაც პალესტინაში საქმეები კარგად ვერ წაუვიდა და ხელშეკრულება დასდო ხრისტიანთან პრუსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. პრუსთა მიწების სამხრეთ ნაწილი ე. წ. „კულმის ოლქი ებოძა მას (ორდენს— ე. წ.) საკუთრებად იმ მიზნით, რომ იქ მას ყველა მოესპო და გაეძარცვა". [4])

„რაინდები" მძვინვარებენ... **სპობენ ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფლებასა და ფეტიშიზმს, აარსებენ გერმანული ყაიდის ციხე-კოშკებს, ქალაქებს, მონასტრებს, სენიორიებსა და საეპისკოპოსოებს.** იქ, სადაც მოსახლეობას არ სპობენ, მათ **მონებად აქცევენ.** იმის შედეგად, რომ **პაპი** ისევ და ისევ ქადაგობს ჯვაროსნულ ომებს, გერმანელი მძარცველების და კოლონისტების ახალ-ახალი ნაკადები [5]) აწყდება ბალტიის მხარეს. დამპყრობელები მოხერხებულად სარგებლობენ ადგილობრივ ცალკე ტომებს შორის არსებული შუღლითა და მტრობით. 1236 წელს მახვილოსნებმა ესტებისა და ლივების დახმარებით განიზრახეს ლიტველების დაპყრობა, მაგრამ „ეს ქოფაკები სასტიკად მიბეგვეს". [6]) 1237 წელს მახვილოსნები ტევტონელთა ორდენს შეუერთდნენ, მაგრამ ამ შეერთებული ძალებითაც კი ერთბამად ვერ მოხერხდა ბალტიის მხარის მკვიდრთა დამორჩილება. მარტო პრუსებთან ბრძოლა მათ საპოლოოდ დამორჩილებამდე 60 წელს გაგრძელდა.

○

XIII საუკუნის დასაწყისიდან იწყება გერმანელი „ქოფაკ-რაინდების" ცალკეული შეტაკებები რუსეთის ხალხთან. 1207 წელს პოლოცკის მთავარმა ვლადიმირმა გაიაშჭრა ლივების დასახმარებლად და ალყა შემოარტყა რიგას. 1210 წელს რიგის გერმანელი ეპისკოპოსი უკვე ხარკს აძლევს პოლოცკის მთავარს.

1214 წელს ნოვგოროდელებმა ლაშჭრობა მოაწყეს მახვილოსანთა ორდენის სამფლობელოში და „რაინდები" რიგაში მირეკეს. 1217 წელს ნოვგოროდელების და პსკოველების 20-ათასიანი ჯარი „რაინდების" ვერაგული თავდასხმის საპასუხოდ ილაშჭრებს ორდენის სამფლობელოზე და სასტიკად ამარცხებს მტერს. რუსებმა აიღეს ქალაქი ოდეპე, დასწვეს იგი. 1223 წელს ორდენის რაზმები ისევ დაესხნენ თავს ნოვგოროდის ქვეყანას. ნოვგოროდის მთავარმა გარეკა უაზალები, გამოედევნა მათ და შეიჭრა მათ სამფლობელოში. ადგილობრივი ტომები (ესტები და სხვ.) ისევ აჯანყდნენ დამპყრობელების წინააღმდეგ. ასევე განმეორდა 1233-34 წელს, როცა ნოვგოროდის მთავარმა იაროსლავმა თავიანთი დაამტვრია გერმანელ თავდამსხმელებს.

მახვილოსანთა და ტევტონთა ორდენების გაერთიანების შემდეგ რუსეთის მიწებზე გერმანელ დამპყრობელთა შემოსევის საფრთხე კიდევ უფრო რეალური შეიქმნა. ეს საფრთხე უფრო გაძლიერდა აღმოსავლეთიდან თათარ-მონღოლთა შემოსევასთან დაკავშირებით. ვოლგაზე ბულგართა სამეფოს დაპყრობის შემდეგ თათარ-მონღოლთა მრავალრიცხოვანი ურდოები რუსეთს შემოესიენ. დაჭუჭმაცებული რუსეთის სამთავროების მცირერიცხოვანი რაზმები ვერ გაუმკლავდნენ ბათოყაენის ასეულ-ათასიან ჯარებს და თათარ-მონღოლები ერთი-მეორეზე იპყრობდნენ რუსთა სამთავროებს. მხოლოდ ჩრდილოეთ-დასავლეთში პსკოვისა და ნოვგოროდის მიწები გადაურჩა ამ გახადგურებას. მაგრამ მათ არანაკლები საფრთხე მოელოდა დასავლეთიდან.

„ქოფაკმა-რაინდებმა" გადაწყვიტეს, რომ დადგა დრო, როცა ისინი რუსეთის სულ ადვილად დაიპყრობენ. რომის პაპმა გაერთიანებულ ორდენს მოკავშირე გამოუნახა შვეციის სახით. 1240 წელს მტერი ერთდროულად ორი მხრიდან, ნოვგოროდისა და პსკოვის მხრიდან, დაესხა თავს რუსეთს.

ამ დროს ნოვგოროდის მთავარი იყო ვლადიმირის დიდი მთავრის იაროსლავის შვილი ალექსანდრე. ალექსანდრე იყო სამშობლოს დიდი მოყვარული და გმირი სარდალი. მემატიანეები აღნიშნავენ, რომ ალექსანდრე არასოდეს არ ყოფილა ცალკე მთავრების შინაბრძოლის მონაწილე, არ აწიოკებდა მდაბიო ხალხს, არასოდეს არ ხელმძღვანელობდა პირადი ინტერესებით. თვით ნოვგოროდში ის სასტიკად ებრძოდა ბოიარინთა თვითნებობას, ცდილობდა შეეზღუდა უკანასკნელთა უფლებები. რუსეთის მემატიანეები აღნიშნავენ, რომ ბათო-ყაენის უკან გაბრუნება ნოვგოროდის აუღებლად ნაწილობრივ ალექსანდრეს მიერ ნოვგოროდის მიწების დასაცავად მიღებული ზომებით აიხსნებაო.

როცა 1240 წელს შვედები შემოიჭრენ ნოვგოროდის მიწებზე, ალექსანდრეს განკარგულებაში იყო მხოლოდ მრავალ ბრძოლაში ნაცადი რაზმი და ნოვგოროდელი მოხალისეები. ალექსანდრეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ნევის სანაპიროებზე მცხოვრებ ტომებთან. მათი დახმარებით ალექსანდრეს რაზმი (1240 წლის 15 ივლისს) მოულოდნელად დაესხა თავს ნევის პირას დაბანაკებულ შვედ რაინდებს და მუსრი გაავლო მათ. სამი ხომალდი გაიტაცა მარტო დიდი ვოევოდების გვამებით. იმავე დღეს ღამით შვეციის რაინდების ნაშთებმა გაქცევით უშველეს თავს. ალექსანდრემ მხოლოდ ოცი კაცი დაკარგა.

ამ გამარჯვებისათვის ხალხმა ალექსანდრეს „ნეველი" უწოდა.

○

შვედების სასტიკმა დამარცხებამ არ შეაჩერა გერმანელ „ქოფაკ-რაინდების" მისწრაფება რუსეთის დაპყრობისაკენ. გერმანიის სხვადასხვა კუთხეებიდან, დასავლეთ-ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან პაპის და ეპისკოპოსების ლოცვა-კურთხევით მრავალად იყრიდნენ თავს სხვადასხვა ნაძირალები — უმიწაწყლო რაინდები, ბედის მაძიებლები.

1240 წლის ზაფხულზე „რაინდთა" ჯარი მოულოდნელად დაესხა თავს პსკოვის სამთავროს. მათ მოუძღოდა მოღალატე მთავარი იაროსლავი, რომელიც პსკოველებმა განდევნეს გერმანელებთან კავშირისათვის. მათ ადვილად აიღეს ქალაქი იზბორსკი, რომელიც არ მოელოდა თავდასხმას. პსკოვის მთელი მოსახლეობა აღსდგა მტაცებლების გასარეკავად, მაგრამ ხალხის ლაშქარი ვერ გუმკლავდა თავით-ფეხამდე შეიარაღებულ მტერს. პსკოვის ლაშქარი დამარცხდა იზბორსკთან და გერმანელებმა ალყა შემოარტყეს პსკოვს. მთელი ერთი კვირის განმავლობაში ვერ შესძლეს „რაინდებმა" პსკოვის აღება, სამაგიეროდ უმოწყალოდ ჟლეტდნენ და ძარცვავდნენ გარშემო მცხოვრებ მოსახლეობას. ბოლოს ციხე შიგნიდან გატყდა. მოღალატე ბოიარინმა ტვერდილომ და მისმა დამქაშებმა დაითანხმეს ხალხი ორდენის პირობების მიღებაზე. „ქოფაკი - რაინდები" დაეუფლენ პსკოვის ქვეყანას.

პსკოვზე ასე იოლად მოპოვებულმა გამარჯვებამ ფრთები შეასხა დამპყრობელებს. გერმანიიდან მტაცებლების და მძარცველების ახალი ტალღა მოაწყდა რუსეთის საზღვარს. მათ ადვილად დაიპყრეს ნოვგოროდის ქვეყნის დასავლეთით მობინადრე ფინების ტომები და შეიჭრენ ნოვგოროდის ქვეყანაში. მთელ რიგ ადგილებში მათ ძლიერი გარნიზონები ჩააყენეს და ციხე-სიმაგრეები მოაწყეს. მტერი 30 ვერსის მანძილზე მოუახლოვდა ნოვგოროდს, გზაზე ძარცვავდა ვაჭრებს, მოსახლეობას. მთელი 1240-1241 წლის ზამთრის განმავლობაში რაინდთა ბრბოები დაუსჯელად თარეშობდნენ დაპყრობილ მიწაწყალზე. ხუცები და რაინდები იყოფდნენ ნადავლს. თითქოს დადგა რუსეთის უკანასკნელი დღეები — მტერი ემუქრებოდა ნოვგოროდს.

ნევაზე გამარჯვების გმირი მთავარი ალექსანდრე უკვე აღარ იყო ნოვგოროდში. ბოიარინებს აშინებდა ის პოპულარობა, რომლითაც ალექსანდრე სარგებლობდა. დაიწყო ინტრიგები, მისი საქმიანობის გაკიცხვა. ვინაიდან ალექსანდრეს არ გააჩნდა ძალა ბოიარინების ასალაგმავად, ის იძულებული გახდა თავის მამასთან წასულიყო და პერეიასლავში (სუზდალის ქვეყანაში) დაჯდა მთავრად.

როცა ნოვგოროდს განსაცდელის ჟამი დაუდგა, ხალხმა დაჟინებით მოითხოვა ალექსანდრეს დაბრუნება. ბოიარინები იძულებული შეიქნენ თავისი სურვილის წინააღმდეგ ამაზე დათანხმებულიყვნენ.

ალექსანდრე დაბრუნდა ნოვგოროდს და შეუდგა ხალხის შეიარაღებას. მისმა დაბრუნებამ იმედი მისცა საზღვარზე მცხოვრებ ტომებს, რომლებმაც თავისი რაზმები დაახმარეს მთავარს. ალექსანდრემ მძაფრი იერიშით წაართვა „ჯვაროსნებს" კოპორიე — მთავარი დასაყრდენი პუნქტი. რაინდების ნაწილი კოპორიეს აღებისას გაჟლიტეს, ნაწილი ტყვედ წაიყვანეს.

ამ გამარჯვების შემდეგ ალექსანდრე გაფაციცებით უყურის თავს ჯარებს, და მან მართლაც შეჭრილა იმ დროისთვის დიდძალი ჯარი. 1241-42 წლის ზამთარში ეს ჯარი დაიძრა პსკოვის განსათავისუფლებლად.

ალექსანდრემ აიღო პსკოვი და განდევნა დამპყრობელები.

ამის შემდეგ ალექსანდრე შეუდგა მზადებას გადამწყვეტი ბრძოლისათვის გერმანელი მტაცებლების წინააღმდეგ. მან გადასწყვიტა მტერი გაენადგურებინა მისსავე ტერიტორიაზე და ამ მიზნით დაიძრა ორდენის სამფლობელოებისაკენ.

ჩუდის ტბაზე ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის სახალხო ლაშქარი, შემდგარი უმთავრესად გლეხებისა და ხელოსნებისაგან, რომლებიც იცავდნენ თავიანთ ძიწა-წყალს, თავის ეროვნულ თავისუფლებას, და გერმანელი დამპყრობელები. ალექსანდრე ნეველმა კარგად შეისწავლა „ქოფაკ-რაინდების" სამხედრო ტაქტიკა და თავისი ჯარები დააწყო ისე, რომ მათ თავისი ნაცადი ხერხი ვერ გამოეყენებინათ.

გათენდა 1242 წლის 5 აპრილი და დაიწყო ის ცნობილი ბრძოლა, რომელიც ისტორიაში ცნობილია „ყინულზე ომის" („Ледовое побоище") სახელწოდებით. ალექსანდრეს ლაშქარმა რკინის სალტეებში მოაქცია „ქოფაკ-რაინდების" ჯარი, ბევრი მათგანი ამოჟლიტეს, ბევრი აქა-იქ ყინულის ნაპრალებში ჩაიჩეხა, შვიდი ვერსის მანძილზე მისდევდა ნოვ

ინგლისური პრესის გამოძახილი ჩემბერლენის გამოსვლაზე თემთა პალატაში

ლონდონი, 13 დეკემბერი (საკდესი). ჩემბერლენის გუშინდელმა გამოსვლამ თემთა პალატაში, რომელშიც მან განაცხადა, რომ ინგლისს „არავითარი სპეციალური ვალდებულება არ აქვს“ დაიცვას საფრანგეთი იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელს თავს დაესხა იტალია, სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია ინგლისის მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ წრეებში.

ლიბერალური „ნიუს ქრონიკლი“ თავის მოწინავეში ჩემბერლენის პასუხს „უტაქტოს“ უწოდებს. ამ პასუხით ინგლისის პრემიერ მინისტრი, —სწერს გაზეთი, — მხოლოდ აქებს იტალიას, რომელიც ამას იმგვარად გაიგებს, რომ შესაძლებელი იქნება საფრანგეთზე თავდასხმა ისე, რომ არ ეშინოდეს ინგლისის გამოსვლისა საფრანგეთის მხარეზე. თავის პასუხში ჩემბერლენს უნდა დაემატებინა, რომ ყოველგვარი ხელშეკრულებანი ვალდებულების გარეშე საფრანგეთის მთლიანობის შენარჩუნება, ინგლისის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“, თავს იკავებს რა ყოველგვარი რედაქციული კომენტარიისაგან, მაინც თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს თავისი ფრანგი კორესპონდენტის პერტინაქსის ცნობას, უკანასკნელი სწერს, რომ პარიზში მწუხარებას გამოსთქვამენ იმ ფორმის შესახებ, რომელიც ჩემბერლენმა თავისი დეკლარაციისათვის აირჩია.

რასაკვირველია, პარიზში თანახმანი არიან, სწერს პერტინაქსი, რომ ინგლისის მთავრობას არავითარი ფორმალური ვალდებულება არ აქვს საფრანგეთის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ მას თავს დაესხმის იტალია. მაგრამ, კომპეტენტური წრეების აზრით, ინგლისის პრემიერ მინისტრს განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოეჩინა ამ საკითხში და ხელი არ უნდა შეეწყო იტალიის პროპაგანდისათვის თვით ინგლისში.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ რომაელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ჩემბერლენის განცხადებას „აქ დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ, რადგან იგი სავსებით შეესაბამება იტალიის ზრახვებს“.

კადრი კინოფილმიდან „ალექსანდრე ნეველი“. ორდენოსანი მსახიობი ნ. პ. ოხლოპკოვი ვასილ ბუსლაის როლში.

ჩემბერლენის გამოსვლა

ლონდონი, 13 დეკემბერი (საკდესი). დღეს საღამოს ინგლისის მთავრობის პრემიერი ჩემბერლენი უცხოელი ჟურნალისტების ასოციაციის 15 წლისთავის აღსანიშნავ სადამოზე გამოვიდა სიტყვით, რომელშიც იგი შეჩერდა ინგლისის საგარეო პოლიტიკაზე.

ჩემბერლენმა კვლავ დაადასტურა თავისი მტკიცება იმის შესახებ, რომ მიუნხენის შეთანხმებით თავიდან აცილებული იყო ომი.

ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია რა გერმანიისა და იტალიის აგრესიის ზრდა მიუნხენის შეთანხმების შემდეგ, ჩემბერლენი შემდეგ გადავიდა სხვადასხვა შეთანხმებათა ჩამოთვლაზე, რომლებიც დადებული იყო უკანასკნელ დროს. ასეთებია: შეთანხმება ინგლისისა ირლანდიასთან და იტალიასთან, ინგლის-გერმანიისა და საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაციები. ბოლოს ჩემბერლენმა მოიხსენია ინგლის-ამერიკის სავაჭრო ხელშეკრულება.

იცავდა რა მიუნხენის შეთანხმებას, ჩემბერლენი იძულებული იყო ამავე დროს განეცხადებინა: „მე იძულებული ვარ გამოვთქვა მწუხარება გერმანიის პრესის ახლანდელი ტონის გამო, რომელიც იმის წინააღმდეგ კი არ შეჩერდა, რომ ლაფი გადაესხა ერთ-ერთი ყველაზე უფროსი პატივცემული ჩვენი სახელმწიფოს მოღვაწისათვის, რომელიც ამას წინათ თვით იყო პრემიერ მინისტრი.

ამჟამად მეტად ცოტა შესაძლებლობაა კონტაქტის დამყარებისათვის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის. მაგრამ თუ ეს შეუძლებელია ჟენევაში, მაშინ საჭიროა ვეძიოთ სხვა გზები. ამიტომ ჰალიფაქსსა და მე განზრახული გვაქვს იანვარში გავემგზავროთ რომს, რათა ვესაუბროთ იტალიის მთავრობის მეთაურს“.

დასასრულ ჩემბერლენმა სთქვა, რომ მისი აზრით „მსოფლიოს ამჟამად უმთავრესად ის აწუხებს, რომ არ არსებობს მყუდროება და ნდობა. საჭიროა ვეძიოთ შეთანხმებისა და არა აზრთა სხვადასხვაობის პუნქტები. იყო დრო, როდესაც ინგლისი საფრანგეთთან ომის პირად იდგა. დღეს ასეთი ომი სავსებით შეუძლებლად გვეჩვენება. მართლაც, ჩვენი ურთიერთობა საფრანგეთთან იმდენად მჭიდროა, რომ იგი არ არის დაპირობებული წმინდა იურიდიული ვალდებულებებით, რადგან ეს ურთიერთობა ინტერესთა იგივეობაზეა დამყარებული“.

ინგლისისა და საფრანგეთის პოზიცია კლაიპედის საკითხში

პარიზი, 13 დეკემბერი (საკდესი). საფრანგეთის ბერლინელმა ელჩმა კულონდრმა გუშინ ინახულა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო. კულონდრმა საფრანგეთის მთავრობის სახელით მოაგონა, რომ საფრანგეთი დაინტერესებულია კლაიპედის სტატუტით, რომლის გარანტიც ის არის.

ლონდონი, 13 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, გუშინ ინგლისის საქმეთა რწმუნებულმა ბერლინში ოჯილვი-ფორბესმა ინახულა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო. ჰფიქრობენ, რომ ოჯილვი-ფორბესმა სამინისტრო ინახულა კლაიპედის ოლქში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

გერმანიის საომარი მზადება პოლონეთის საზღვარზე

კრაკოვი, 14 დეკემბერი (საკდესი). უცხოელ ჟურნალისტთა წრეებში იუწყებიან, რომ გერმანია გაძლიერებულ საომარ მზადებას აწარმოებს, უმთავრესად პოლონეთის წინააღმდეგ. სილეზიისა და აღმოსავლეთ პრუსიის მთელს ტერიტორიაზე ჯარის მნიშვნელოვანი გადაჯგუფება ხდება. სუდეტის ოლქის ყველა სამხედრო გარნიზონი გაგზავნილია სილეზიაში. ვენაში ექვსი გასაწვევი ასაკის რეზერვისტებმა უწყებები მიიღეს, რომ იანვარში არმიის რიგებში გამოცხადდნენ. გამალებული საომარი მზადება როგორცა სჩანს, დაკავშირებულია პოლონეთისაგან უკრაინელებით დასახლებული ტერიტორიების ჩამოშორების გეგმასთან.

გერმანიის ჩარევა ინგლისის შინაურ საქმეებში

ლონდონი, 13 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს ჩემბერლენი გამოვა დიდი სიტყვით უცხოელი ჟურნალისტების ასოციაციის 15 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. რეიტერის სააგენტოს დიპლომატიური მომმხილველი ადასტურებს, რომ ჩემბერლენი ისარგებლებს ამ სხდომაზე ყოფნით, რათა წარმოსთქვას ვრცელი სიტყვა ინგლისის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ჟურნალისტთა წრეებში დიდ ინტერესს იჩენენ ამ სიტყვისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ ეს სიტყვა წარმოთქმულ იქნება ჩემბერლენის მომავალ დარბაზობამდე რომში.

ლონდონში საერთო გაკვირვება გამოიწვია ესენის „ნაციონალ ცაიტუნგის“ (საყოველთაოდ ცნობილი ორგანო ჰერინგისა), თავზედურმა გამოსვლამ, რომელიც ცინიკურად უკარნახებს ჩემბერლენს, თუ რა ხასიათი უნდა ჰქონდეს მის სიტყვას და წინადადებასაც კი აძლევს მას საგსებით უარი სთქვას გამოსვლაზე, აცხადებს რა, რომ მომდინარე მომენტი ხელსაყრელი არ არის სიტყვის წარმოთქმისათვის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

გაზეთი „ივნინგ სტანდარდი“ იუწყება, რომ ჰიტლერი ლონდონში ჭგზავნის სპეციალურ რწმუნებულს, რომელიც დაესწრება იმ საღამოს, სადაც ჩემბერლენი სიტყვით გამოვა. ეს რწმუნებული იქნება გოტფრიდ აშმანი—გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების ხელმძღვანელი.

„პან-ამერიკის დემოკრატიის“ კონფერენცია

ვაშინგტონი, 13 დეკემბერი (საკდესი). ვაშინგტონში შესდგა „პან-ამერიკის დემოკრატიის“ კონფერენცია, რომელსაც დაესწრო პროფკავშირების, ახალგაზრდობისა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების დაახლოებით 200 წარმომადგენელი და აგრეთვე მთელი რიგი გამოჩენილი მწერლები, მეცნიერები და სხვა პირები. კონფერენციამ დაადგინა შეჰქმნას მუდმივი ორგანიზაცია დედამიწის დასავლეთ ნახევარში დემოკრატიის შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის საბრძოლველად და ლათინური ამერიკის ქვეყნებში ფაშიზმის შეჭრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდებს რუზველტს გააუქმოს ემბარგო (აკრძალვა) რესპუბლიკურ ესპანეთში იარაღის შეტანაზე. ფაშიზმის გამარჯვება ესპანეთში, ნათქვამია ამ რეზოლუციაში, მნიშვნელოვნად გააძლიერებდა ფაშიზმის საშიშროებას ლათინური ამერიკის ქვეყნებში. შემდეგ რეზოლუცია მოითხოვს ყველა ანტიფაშისტისა და სხვა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას, რომლებიც იტანჯებიან სამხრეთ-ამერიკის ქვეყნების საპყრობილეებში და მოუწოდებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობისაკენ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის პროფკავშირებს შორის.

ვოკალისტების კონკურსი

ხელოვნების საქმეთა სრულიადსაკავშირო კომიტეტის გადაწყვეტილებით ვოკალისტების სრულიადსაკავშირო კონკურსის პირველი (შემრჩევი ტური) ჩატარდება დეკემბერში კავშირის 7 უდიდეს ქალაქში—მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, თბილისში, ბაქოსა და ერევანში.

თბილისში პირველი ტური შესდგება 15 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში.

პირველ ტურში გამოვა 11 ვოკალისტი, რომელიც ჩაეწერა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საუკეთესო შემსრულებელნი 18 დეკემბერს გაემგზავრებიან მოსკოვს მეორე და საფინალო ტურში მონაწილეობის მისაღებად. მეორე ტური დაიწყება 25 დეკემბერს. საფინალო ტურში მონაწილეობის მისაღებად დაუშვებენ ხუთ კაცს, რომელთა შორისაც განაწილებული იქნება ჯილდოები: პირველი 7.000 მანეთის რაოდენობით, მეორე — 6.000 მანეთის, მესამე—5.000 მანეთის, მეოთხე—4.000 მანეთისა და მეხუთე—3.000 მანეთის რაოდენობით. (საქდესი).

ფუნიკულორზე

დიდი სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი ფუნიკულორის პლატოზე მომავალი ზაფხულიდან ახლად გამშვენიერებული, გაფართოებული და კიდევ უფრო კეთილმოწყობილი წარუდგება მნახველებს. ამჟამად დაწყებულია მუშაობა 15 ჰექტარი პარკის ახალი ტერიტორიის გასამწვანებლად. ეს ტერიტორია მომავალი ზაფხულიდან შეუერთდება პარკს. იქ მოეწყობა 3 ჩინური ფანჩატური, ხეივნები, აუზები და ყვავილნარები.

ამასთან ერთად დაწყებულია პარკის ძველ ნაკვეთზე მცენარეების დარგვა და „კოჯრის ხეივნის“ გაშენება იმ გზატკეცილზე, რომელიც კოჯრის გზას ფუნიკულორთან აერთებს. უკვე შეძენილია 11.000 ცალი ნერგი, მათ შორის 1000 ძირი ვარდის ბუჩქის ნერგი, ალვისხეები და მარად ყვავილიან მცენარეთა ჯიშები.

ამჟამად საფუძველს უყრიან მცენარეთა სადედეს და ორანჟერეას, რომლებიც დაამზადებენ პლატოზე დასარგავ მცენარეებს.

ფუნიკულორის პარკი გაიხსნება პირველ აპრილს. ამ დროისთვის შეკეთდება იქ მისასვლელი საცალფეხო გზები, გაშენდება ყვავილნარები და დამთავრდება პარკის ახალ ტერიტორიაზე (15 ჰექტარზე) მცენარეთა გაშენება.

გორის მუზეუმი

გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა შეიძინა ცნობილი ხალხოსანი მწერლის სოფრომ მგალობლიშვილის ბიბლიოთეკა.

წიგნებს შორის აღმოჩნდა ალბომი, რომელშიც არის რუსეთისა და უცხოეთის მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების 34 სურათი.

გორის მუზეუმის განკარგულებაშია გარსევანიშვილების საგვარეულოს 30-მდე სიგელი, რომლებიც ეკუთვნიან მე-17 და მე-18 საუკუნეებს. სიგელები იძლევიან ძვირფას მასალას გორის წარსულის შესასწავლად.

გორის მუზეუმის დარბაზის ერთ კედელზე გამოფენილია მასალები, რომლებიც ეხება შესანიშნავ ისტორიულ ძეგლს—გორის ციხეს. ჰასალებს შორის არის ციხის სურათი, დახატული 1633 წელს იტალიელი პატრის ქრისტეფორე კასტელის მიერ. (საქდესი).

საკავშირო დროშა საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირს

შესრულდა 15 წელიწადი, რაც ხელოვნების მუშაკთა კავშირი კულტურულ შეფობას უწევს წითელი არმიის ნაწილებს. ამ წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, ამასწინათ მოსკოვში შესდგა ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, სადაც, შეაჯამეს რა მთელი კავშირის საშეფო მუშაობა, აღიარეს, რომ წითელი არმიის ნაწილებზე კულტურული შეფობა ყველაზე უკეთ განახორციელა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირს გადასცა თავდაცვის სახალხო კომისარიატის გარდამავალი დროშა. გარდა ამისა გამოყოფილია 100 ჯილდო (საჩუქრები და საპატიო სიგელები) საშეფო მუშაობაში დაწინაურებულ ხელოვნების მუშაკთათვის.

იანვრის დასაწყისში თბილისში შესდგება საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის პლენუმი. ამ პლენუმზე მოხდება გარდამავალი დროშის მიღება და ხელოვნების იმ მუშაკთათვის საჩუქრებისა და ჯილდოების დარიგება, რომლებმაც თავი ისახელეს საშეფო მუშაობაში.

კომბინატორი

„ცენტროლიტის“ საქარხნო სასადილოში გამგედ მოიკალათა ბ. გ. ვარდანაშვილმა და ვინ იცის რამდენი ათასი მანეთი გაანიავა, მითვისა და გაფლანგა მან!

იყიდდა საქონელს სასადილოსათვის, ხორცს სპეციალურ ფასებში ჰყიდდა. იყიდდა ცხვარს, ტყავს საკუთარი ჯიბის სასარგებლოდ ასაღებდა, საუკეთესო ხორცი ბაზარზე მიჰქონდა, ხოლო მჭლე — სასადილოში. ისიც ნაყიდობის დოკუმენტებს თვითონ სწერდა, თვითონვე სხვის მაგიერ ამოწმებდა და აღებულ ფულს იფვისებდა.

ვარდანაშვილის ყალთაბანდობის შესახებ მუშებმა ბევრჯერ გააფრთხილეს ქარხნის დირექტორი ს. ა. გრიგოლია, მაგრამ მას ყურიც არ შეუბერტყავს.

ბოლოს, ვარდანაშვილს ეწვივნენ რევიზორები, გამოარკვიეს მისი ცოდვები და წარგზავნეს იქ, სადაც მისთანანი განისვენებენ. ვარდანაშვილი დაპატიმრებულია და მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

პასუხისგებაში მიცემული არიან აგრეთვე — ქარხნის დირექტორი ს. გრიგოლია, რომელმაც არ მიაქცია ყურადღება სიგნალებს ვარდანაშვილის ბოროტმოქმედებათა შესახებ, საქარხნო სასადილოს ბუხჰალტერი ნ. გრაბალინი და ვარდანაშვილის სხვა თანამონაწილენი.



სუბსტატისტატი „სსსრ-გრ-77“, რომელიც 4 დეკემბერს მოსკოვის აეროდრომიდან აფრინდა 9150 მეტრის სიმაღლეზე. აფრენაში მონაწილეობდნენ ამხ. ა. ფომინი და პ. პ. პოლოსუხინი.

სკ.ფოტოქრონიკა

ხელოვნების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებანი

ბრძანება № 1. ბ. ბ. ბ.